

სამეგრელო

№ 9 (34) 01.09.-01.10.2014

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



გილოზავთ ღვთისმშობლობას

ს ა რ ჩ ე ვ ი



ღვთისმშობლობა2
 სამურზაყანოელი ბულბული — კონსტანტინე ჩიკვატია.....4
 გაუხუნარი ლეგენდა6
 როგორ აფასებენ თანამედროვენი კოტე ჩიკვატიას ღვანლს8
 აფხაზეთის არჩევნები დემოკრატიული მმართველობის
 მოჩვენებითი ელემენტია..... 10
 საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ნაკრების
 ასპარეზობა ნორვეგიაში..... 11
 ჯვარისის სათემო განათლების ცენტრმა ლუარა ჭანტურიას
 უმასპინძლა 12
 ვაშლის ძმარი -სილამაზისა და ჯანმრთელობის ელექსირი 13
 აფხაზეთის ისტორია..... 14
 მერი ბიგვავა — დევნილთა საერთო ტკივილს ახმაურებს..... 17
 დავით დარახველიძეს აფხაზეთის ხელმძღვანელობამ
 ღვანლი დაუფასა20
 ცურვის დიდოსტატმა რუსუდან გორდეზიანმა მარათონი ჟუმბერ
 ლეჟავას ხსოვნას მიუძღვნა22
 ლეგენდარული ველომოგზაური და რეკორდსმენი
 ჟუმბერ ლეჟავა — 75 წლის ასაკში შეწყვეტილი სიცოცხლე.....23
 რას ნატრობდა ჟუმბერ ლეჟავა25
 იპოლიტე ინყებოდა ასე...26
 ვალერიან (სულიკო) როგავა.....31
 ფოთი ქართული ფეხბურთის აკვანია32
 ელენე ჯობავა.....33
 ციალა მარჯანიშვილი.....34
 ვანო ცინცაძე.....35
 გივი სიხარულიძე — სიცოცხლე.....36
 სამეგრელოს ღირსშესანიშნაობები“ — დავით კიკოლაშვილი.....38
 ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი ფოთში.....40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი
 ტელ: 599 74 68 10
 დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი
 ტელ: 599 53 58 94
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარციანიშვილი
 ტექსტი აანყო
თამარ გოგინაძე
 მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ.
 №27, მე-2ს., 790 74 68 10
 ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ
 რაჭველებს და არა მარტო მათ,
 გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _
 გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
 რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
 მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
 დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.
 ტელ: 599 74-68-10

ბვირფასო მკითხველო!
 გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
 სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

ღ ჯ თ რ ს ზ უ რ ზ ლ რ ზ ე

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა

ყოვლადწმინდა დედა ღვთისა იშვა უნაყოფო და მოხუცებული მშობლებისგან ქალაქ ნაზარეთში, რომელიც მთის ფერდობზე იყო შეფენილი და იერუსალიმის სამი დღის სავალი აშორებდა.

წინასწარმეტყველთა უწყების მიხედვით, ქვეყნიერების აღთქმული მხსნელი დავითის ტომიდან უნდა წარმომდგარიყო, მაგრამ ბაბილონის ტყვეობის შემდეგ დავით მეფის შთამომავლები ნელ-ნელა უფლებებს კარგავდნენ. მას შემდეგ, რაც მაკაბელთა გვარი გაძლიერდა, სამეფო შტოს ყოველგვარი გამორჩეულობა გაქრა და ის სხვა ხალხს გაუთანაბრდა.

როდესაც წინასწარმეტყველთა მოსწავებული დრო დადგა და სკიპტრა უცხოტომელ ჰეროდეს გადაეცა, როდესაც რომაელთა ყოვლისდამრღვეველი ხელმწიფება დაიწყო, ზნეობრიობა და რელიგია სრულიად დათრგუნული აღმოჩნდა. მაშინ იუდეველებმა გააცნობიერეს, რომ დანიელის მიერ დათქმული ყამი იწურებოდა და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი მესიას.

ნაზარეთში ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა იოაკიმე და ანა. იოაკიმე იუდას სამეფოს ტომის შთამომავალი იყო, ხოლო ანა – აარონის ტომის ღვთისმსახურის, მატთანის უმცროსი ასული. მატთანს სამი ქალიშვილი ჰყავდა – მარიამი, სოფიო და ანა. სოფიოს ასული ელისაბედი არის იოანე ნათლიმცემლის დედა. იოაკიმე და ანა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მის მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი ჩამომავლობით კი არა, უფრო მორჩილებითა და გულმონყალებით იყვნენ ცნობილნი.

ამგვარად მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. მთელი მათი ცხოვრება ღვთის სიყვარულით და მოყვასისადმი თანაგრძნობით იყო განმსჭვალული. შემოსავლის ორ მესამედს ყოველდღიურად გასცემდნენ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ უნაყოფობა მათ გულს მწუხარებით ავსებდა. იმდროინდელი წარმოდგენით, უშვილობა შეურაცმყოფლად და უდიდეს სასჯელად ითვლებოდა. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ დავითის შთამომავლებს ჰქონდათ იმედი, რომ მათგან აღთქმული მესიის შობით კაცობრიობის ხსნის იარაღად უნდა ქცეულიყვნენ.

მათი ცოლ-ქმრული ცხოვრებიდან 50 წელი გავიდა და ისინი უშვილობის გამო იყვედრებოდნენ. კანონის მიხედვით, რომელსაც ფარისევლები უჭერდნენ მხარს, იოაკიმეს შეეძლო უნაყოფო ცოლთან გაყრა მოეთხოვა, მაგრამ მართალ ადამიანს



უყვარდა ანა და პატივს სცემდა არაჩვეულებრივი მოკრძალებულობისა და ღვთისმოსაობის გამო. ამიტომ მასთან განშორება არ სურდა. გულში ჩაკლული მწუხარებით, მაგრამ უდღვრტვინველად ისინი ერთად ტვირთულობდნენ განსაცდელს და მარხვით, ლოცვითა და ქველმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. ერთმანეთს სიყვარულით განამტკიცებდნენ და არ კარგავდნენ იმედს, რომ უფალს ყოველთვის შეუძლია მონის შეწყალება.

დიდ დღესასწაულებზე მათ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ იერუსალიმში ასულიყვნენ. იოაკიმეც მივიდა ტაძრის განახლების დღესასწაულზე, რათა თანამემამულეებთან ერთად მსხვერპლი შეენირა, მაგრამ ღმვედელმთავარმა ისახარმა იოაკიმეს ძღვენი არ მიიღო, მას უშვილობა აყვედრა და უთხრა: „უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვის გამო მოგაკლო კურთხევა.“ სხვა თანატომელებმაც, რომლებიც იქ იყვნენ, დაუმატეს: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ არ შეგიქმნია ისრაელის თესლი.“

იოაკიმესათვის ძნელი იყო ამგვარი ყვედრების სახალხოდ მოსმენა და სახლში დაბრუნების ნაცვლად უდაბნოში წავიდა. 40 დღე და 40 ღამე მართალი მოხუცი ტიროდა, მარხულობდა და ლოცულობდა. მწუხარებას ცრემლით იქარვებდა. შესთხოვდა ღმერთს, რომ სირცხვილი და ყვედრება აეცილებინა და სიბერეში მისთვის შვილი ებოძებინა.

ამავე დროს, როდესაც ქმრის შეურაცხოვის ამბავი გაიგო, ანა უნუგეშოდ ატირდა და შინაურთაგან თავისი მწუხარება რომ დაეფარა, ბაღში გავიდა. დაფნის ხის ძირას მჯდარი არ წყვეტდა ტირილს და ლოცულობდა შეურყეველი რწმენით, რომ ღმერთი ძლიერია და კაცთაგან შეუძლებელს შეძლებს. ამ დროს ცისკენ ალაპყრო თვალები და დაფნის ტოტებში დაინახა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ. ამის გამო კიდევ უფრო მეტი ვედრებით გადმოიღვარა ლოცვა მისი გულიდან: „უბედური მხოლოდ მე ვარ—მოთქვამდა იგი — ამქვეყნად ყველა შვილებით ნუგეშობს. ცაში ჩიტებსა და მიწაზე მხეცებს ნაყოფიერება მიეც, უფალო მიწაც დროულად აღმოაცენებს თესლსა და ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება! მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი. მომხედე, უფალო, და ისმინე ჩემი ლოცვა!“

უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოზი წარსდგა და უთხრა: „ანა, უფალმა ისმინა შენი ლოცვები. შენ გეყოლება შვილი და შენი თესლისაგან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე. შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მის მიერ მიიღებს.“

ანგელოზმა დაავალა ანას, რომ წასულიყო იერუსალიმში და უწინასწარმეტყველა, რომ ქმარს ოქროს ჭიშკართან შეხვდებოდა. ღვთისსულიერი სიხარულით აღვსილმა ანამ წამოიძახა: „ცხოველ არს ღმერთი ჩემი. თუ შემეძინება ასული, მას ღმერთს შევწირავ. დაე, დღედაღამ მას ემსახუროს და მისი წმინდა სახელი განადიდოს.“ ამ აღთქმის შემდეგ მან იერუსალიმისაკენ ისწრაფა, რათა უფლისათვის დიდება და მადლობა შეეწირა.

ანგელოზი მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც სალოცავად იყო უდაბნოში და უთხრა: „უფალმა შეინყნარა შენი ლოცვა. შენი ცოლი შობს ასულს, რომელიც ყველას სიხარულს მოუტანს, ნადი იერუსალიმში და იქ ოქროს ჭიშკართან იპოვი ცოლს შენსას, რომელსაც მე ეს უკვე ვაცნობე“.

იოაკიმე და ანა შეხვდნენ ერთმანეთს, ღვთის ტაძარს ერთად შესწირეს სამადლობელი მსხვერპლი და სახლშიც ერთად დაბრუნდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ მიიღებდნენ ღვთისგან აღთქმულს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი იშვა ნაკლებად ცნობილ ადგილას, ნაზარეთში. ის გამოვიდა დავითის ტომიდან, რომელიც იმჟამად დამცირებული და ყოველგვარ ბრწყინვალეობას მოკლებული იყო. ამქვეყნიური დიდება და პატივი არ შემორტყმია მის აკვანს. ყოველგვარი მინიერი უპირატესობა გაფერმკრთალდა უხილავი დიდების შუქზე, რომელიც მრავალი საუკუნით ადრე ამზადებდა უფლის დედის შობას. მას კურთხეული და მომადლებული ეწოდა იმ



დღიდანვე, როდესაც ქვეყნიერების მხსნელი ჩაისახა. ანგელოზის მითითებით ახალშობილს მარიამი დაარქვეს, რომელიც ებრაულად „ქალბატონს“ ან „იმედს“ ნიშნავს. მარიამი გახდა დედა ღვთისა და ამით ყოველივე ქმნილის ქალბატონად და იმედად იქცა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ხსენება, რომორც მართმადიდებელი ეკლესიის დღესასწაული, ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში დადგინდა. მოციქულთა სწორმა ელენემ ღვთისმშობლის შობის სახელზე აღმართა ტაძარი. ის დიდი, საყოველთაო, ათორმეტთაგანი დღესასწაული უძრავია და 8(21) საქტომბარს აღესრულება. ეს არის განუყოფელი სიხარულის დღესასწაული, რადგან ღვთისმშობლისგან აღამიანთა მთელი მოღვათა განასხლდა.



ფიტარეთის ღვთისმშობლის შობის ტაძარი მდებარეობს თეთრინყაროს რაიონში, ხრამის ულამაზესხეობაში. კარიბჭემიდაცულიწარწერის მიხედვით აგებულია XIII ს-ის დასაწყისში, ლაშა-გიორგის მეფობის ხანაში (1213-1222 წწ.), მეფის ამირეჯიბის ქავთარ ქაჯიფაისძის მიერ. მთავარი აქცენტი გარე გაფორმებაზეა გადატანილი, ამ მხრივ ფიტარეთი ერთ-ერთი გამორჩეულია ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ყველა სარკმელი შესანიშნავი ჩუქურთმითაა მორთული. განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები, სადაც ჩუქურთმასთან ერთად გვხვდება ფრინველთა, ცხოველთა, ადამიანთა რელიეფური გამოსახულებანი. ინტერიერი დაფარულია შესანიშნავი კედლის მხატვრობით. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს 1696 წლის სასახლე-მარანი, რომელიც აქ მოღვაწე წინამძღვრის იობ ფიტარელის მიერაა აგებული. მონასტრის ეზოს გარს აკრავს გალავანი, იგი გვიან შუასაუკუნეებში გამოიყენებოდა როგორც თავდაცვის საშუალება; ფიტარეთის მონასტერი XVIII ს-ში აღუდგენია ხულუტის ციხის აღმშენებელს ყაფლან ორბელიანს.

სამურზაყანოელი ბულბული



კონსტანტინე
ჩიკვაძია

„ჩიკვა“ - ანცის პირსახელი ყოფილა ძველ საქართველოში. ჩიკვაბიათა გვარს, როგორც აბოგან ფაქა სახეთარი სახელიდან მოუდით. ქართულ სიგალ-გურჯაბში ჩიკვაბიათა გვარი XVIII საუკუნიდან იხსენიება.

1904 წელს ჩაბარებული ახმრალური აღწერის დავთრის მიხედვით, ორსახების (ზაგდიდის რაიონი) მოსახლე ჩიკვაბიათა აზნაურთა ფანს მიაქაუთვანება.

სწორედ ამ შასენიშნავი გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ბატონი ჯონსტანბინა (ქობა) ჩიკვაბია.

კონსტანტინე (კოტე) ჩიკვატია დაიბადა 1907 წლის 15 ივნისს სოფ. ორსანტიაში (ზუგდიდის რაიონი), აზნაურის ოჯახში. ის პეტრე ჩიკვატიასა და ნატაშა გვათუას ერთადერთი შვილი იყო. პირველადი განათლება მღვდელ კალისტრატე ქვაკასთან მიიღო, შემდეგ სწავლობდა ვალის საეკლესიო-სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელში. 1929 წელს დაამთავრა ვალის პირველი საშუალო სკოლა, რომელიც ზემოთ ხსენებული სასწავლებლის ზაზაზე შეიქმნა. ვალში იგი ონისიმე და კოსტია ჩიკვატიების ოჯახში იზრდებოდა.

კოტეს მამა ძალიან ახალგაზრდა გარდაეწვალა და ოჯახური მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მას ყოველთვის ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა ვალში: მუშაობდა ხის დამამუშავებელი ქარხნის (1937-47), ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის კომბინატისა (1948-49) და ვალის რაიონის ყველკარაქმრევის დირექტორად (1950-52). ომის დროს მსახურობდა ჯარში, კავკასიის დაჯვის შტაბლიონში. 50-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში კვების მრეწველობის სისტემის ხელმძღვანელობდა ვინმე ზერია, რომელსავე 1952 წელს დანაკლისი აღმოუჩინეს. მან დაპატიმრებას გაქრევით აარიდა თავი და სანამ თვითონ არ ჩაბარდა სამართალდამრვე ორგანოებს, აფხაზეთის რაიონებში ამ სისტემაში მომუშავე ყველა ხელმძღვანელი, მათ შორის, კოტეც დააპატიმრეს. წხრათვიანი პატიმრობის შემდეგ იგი უდანაშაულოდ რწეს და სრულად აღადგინეს თავის უფლებებში. 1954-58 წლებში იგი კრამიჭის ქარხანაში საამქროს უფროსად მუშაობდა, ხოლო 50-იანი წლების შოლოს ხელი მოჰკიდა ვალში საქენოსნო სპორტის განვითარების საქმეს და ჩამოაყალიბა საკლამეურნეობათშორისო საქენოსნო სპორტული სკოლა, რომლის დირექტორად მან 1977 წლამდე იმუშავა.



კოტე ჩიკვატიამ დიდი ღვაწლი დასდო ქენოსნობის იმ ეროვნული სახეობების განვითარებას, რომელთა ფესვები საქართველოს ისტორიის სიღრმეებში იკარგება. თავის სკოლაში მან ეს საყუვნოვანი ტრადიურა აღადგინა და გამოზარდა არაერთი წნობილი სპორტის ოსტატი, რომელთაც მრავალგზის წარმატებით დაიწვეს საყუთარი რაიონისა და საქართველოს ღირსება საკავშირო შეჯიბრებებში.

მიუხედავად ამისა, კოტეს არასოდეს უღალატია თავისი ნამდვილი მონოდებისათვის – იგი სახელმწიფო სამსახურს კარგად უთავსებდა ხელოვნების ერთგულებას და 1931 წლიდან ერთგულად ემსახურებოდა ეროვნული ხალხურ სიმღერას. კინი გეგეკორთან, ლეონტი შინიასთან, კაპიტონ

*„ავიღებ სწმინდს სიამოვნებით,
რას სურვილი მაქვს იეს ამოვნირო,
რისგან გერგებთ ყოველის რიონსებით,
რომ მომწავლო გყოლით ვისურვით“ ...*

შენგელიასთან, ზორის აქუბარდიასთან, მეგობორავასთან და სხვებთან ერთად კოტე ჩიკვატია ვალის რაიონის სიმღერისა და რეკვის სახელმწიფო რაიონული ანსამბლის დამაარსებელი (1931) იყო; კინი გეგეკორის შემდეგ კი (1938) აკაკი ხარებავასთან ერთად – მისი ხელმძღვანელი, ნამყვანი სოლისტი და სიწყოწლის ბოლომდე მისი მოჭირნახული.

ომისა და შრომის ვეტერანი, იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით; მეღლებით „კავკასიის დაჯვისათვის“, „სამამულო ომის ოქრდათ წლისთავთან დაკავშირებით“ და სხვ. ამასთან, სხვადასხვა დროს ხელოვნებასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისათვის მას მიღებული ჰქონდა უამრავი სიგელი და დიპლომი. მისი ღვაწლი ღირსეულად დაფასდა – 1958 წელს კონსტანტინე ჩიკვატიას აფხაზეთის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ბ ა უ ს უ წ ა ჩ რ რ ე ბ ე წ დ ა

„პატარა ვიყავი, ოთხიოდე წლის, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას მეზობლების სინანულითა და სიბრალულით სავსე ცრემლიანი თვალები, რადგან მამა დაღუპული ევონათ. ის კავკასიის ფრონტზე იბრძოდა და მასზე კარგა ხანს არაფერი ვიცოდით. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჭიშკარში შემოვიდა ოფიცრის ფორმაში გამონყობილი, ორდენებით მკერდდამშვენებული კაცი. ცნობით ვერა, მაგრამ გუმანით მივხვდი ვინც იყო, ვიყვირე - მამა! როგორ ჩამოვფრინდი კიბეებიდან და როგორ აღმოვჩნდი მის მკლავებში უკვე აღარ მახსოვს...“ ამბობს სინანულითა და ამავე დროს, სიამაყით აღვსილი ღირსეული მამის კონსტანტინე ჩიკვატიას ღირსეული შვილი რაისა ჩიკვატია-ქარაია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი), რომლისთვისაც მამა დღემდე მთელი ცხოვრება და ღირსების საზომია.

ბატონი კოტე დედისერთა იყო, იმ დროისათვის შეძლებული ოჯახის შვილი. ამიტომაც ძალიან ანებივრებდნენ, ჩოხა-ახალუხში გამონყობილი, საკუთარ ცხენ-უნაგირზე ამხედრებული დადიოდა თურმე ყველგან, ჭირსა თუ ლხინში.

ერთ მშვენიერ კვირა დღეს მეათე კლასის მოსწავლე ქორწილიდან შექეიფებული ბრუნდებოდა, თურმე სკოლის მეორესართულის ფანჯრიდან გოგონებს ნაუქეხებიათ-თუ ბიჭი ხარ, ამოდიო და... მასაც დიდხანს არ უფიქრია, ცხენზე ამხედრებულს II სართულზე ამოუყვია თავი. ამ ფაქტს სკოლაში აურზაურის გარეშე არ ჩაუვლია. ასეთი საქციელის გამო, რომ არა ბატონი გიორგი ტორუა, გალის საშუალო სკოლის ყველაზე პატივსაცემი მასწავლებელი, რომელსაც უთქვამს, შეიძლება ეს ბიჭი უფრო გამოადგეს ქვეყანას, ვიდრე სხვა ნებისმიერი ფრიადლოსანიო, კოტეს სკოლიდან გაგდებასაც კი უპირებდნენ.

ბატონი კონსტანტინე მართლაც რომ გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი იყო. კომუნიკაბელურობა, ურთიერთობის განსაკუთრებული კულტურა, თავმდაბლობა და უშუალობა მისი ცხოვრების წესი გახლდათ. მის შინაგან ბუნებას საოცარი იუმორი ალამაზებდა, კარგად მღერა და ცხენოსნობა მისი მოგონილი იყო. ბავშვობიდანვე საოცრად თბილი და მოსიყვარულე ყოფილა.

როგორც ქალბატონი რაისა ამბობს, მუსიკის ნიჭი კოტეს დედისგან გამოჰყოლია. ბებია გიტარაზე საუცხოოდ უკრავდა და მღეროდა. მამისა და ბებუის სიმღერას დედაც რომ შეუერთდებოდა საუცხოო ტრიო გამოსდიოდათ.

ჩიკვატიების ოჯახს ბევრი საპატიო სტუმარი ახსოვს: აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, თბილისის მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების დასი, სუხიშვილები, ოჯახი როგორც უკვე მოგახსენეთ თავიდანვე კულტურის კერა იყო. „მარაბელი“, „კუჩხი ბედინერი“, „ჩელა“, „სიმღერა რუსთაველზე“, „სიმღერა მეგობრობაზე“, და სხვა. ეს ის სიმღერებია, რომლებიც ფირზე იყო ჩანერილი და დღეს საქართველოს რა-



გალის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტები, მარცხნიდან: კოტე ჩიკვატია, ლეონტი შონია, მემო ხორავა.

დიო-ტელეკომპანიის ოქროს ფონდში ინახება. ამ ჩანაწერებს ჩიკვატიებიც ინახავდნენ თურმე, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ოჯახს ეს ფონდი უკვე აღარ მოეპოვება.

კონსტანტინე ჩიკვატია საერთო საქმისთვის თავდადებული პიროვნება იყო, საზოგადოს ყოველთვის პირადზე მაღლა აყენებდა. სწორედ ეს იყო იმ გადაწყვეტილების მიზეზი, რაც შვილმკვდარმა მამამ მიიღო — სრულიად ახალგაზრდა, 37 წლის ქალიშვილი გარდაეცვალა. შვილის სიკვდილით გულდამწვარი მამისთვის ვის უნდა შეეხებოდა სიტყვა მოსკოვში ფესტივალზე გამგზავრებაზე.



კონსტანტინე ჩიკვატიას ქალიშვილი რაისა ქარაიას

არც არავის დალოდებია. მიუხედავად იმისა, რომ უსაზღვროდ განიცდიდა ამ ტრაგედიას, ოჯახში განაცხადა — გლოვა ჩემი პიროვნულია, საერთო საქმეს ვერ გავაფუჭებ და მეგობრებს ვერ დავალაღატებო. თვითონ მივიდა ანსამბლში, რითაც ყველა გააკვირვა და გაახარა კიდევ. ასეთი იყო მისი დამოკიდებულება საერთო საქმისადმი და უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისადმი, სწორედ ამიტომ მიაკუთვნებდნენ მას ისეთ ადამიანთა რიგს, რომელთაც თავისი შრომითა და მოღვაწეობით დიდინვლილი აქვთ შეტანილი ქართული კულტურის განვითარებაში.

ბატონ კოტეს ხალასი, მეგობრული და სამაგალითო ურთიერთობა ჰქონდა აფხაზებთან. ალბათ ეს იმანაც განაპირობა, რომ მისი ორი ბიცოლა აფხაზი იყო-ქალბატონი ელენა მარღანია-გვათუასი და ოლია ხაშბა-ხაზალიასი. თუმცა შესაშური სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა მისი მისამართით აფხაზური მხრიდანაც. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ სწორედ აფხაზებმა შეუნახეს და შემდეგ გამოუგზავნეს ოჯახს მისი დამსახურების ამსახველი მასალა.

კონსტანტინეს სხვა მრავალ ნიჭიერებას თან მხატვრული კითხვის დიდოსტატობაც ერთვოდა.

ერთხელ ფშავში ყოფნისას ბატონ კოტეს სუფრასთან ბევრი უმღერია და ვაჟას ლექსებიც წაუკითხავს, პატივისცემის ნიშნად ფშაველებს მისთვის ვაჟას მათრახი უჩუქებიათ. ამ მათრახმა მოგვიანებით გალის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიდო ბინა. კოტე თურმე თავადაც თხზავდა ლექსებს, თუმცა არ ინერდა. ლხინსა და ჭირში ის შეუცვლელი თამადა იყო, სადღეგრძელოებს ხშირად ლექსად ამბობდა, — იგონებს ქალბატონი რაისა.

1981 წელს, 10 იანვარს ბატონი კოტე სიძემ თბილისში, კარდიოლოგიის ინტიტუტში მორიგ გამოკვლევაზე წაიყვანა, ინფარქტი ჰქონია გადატანილი. იგი სამკურნალოდ სტაციონარში მოუთვსებიათ, როგორც კი ქალიშვილმა მამის

მდგომარეობა შეიტყო, უმაღვე მამას მიაშურა. 16 იანვარს, საღამოს მამა-შვილი თბილად საუბრობდნენ, როცა უცბად გულშიჩამწვდომი, სევდიანი სიმღერა წამოუნწყია, რომლის ტექსტიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა.... „ჩქიმი ცოდა“ (ჩემი ცოდა). თურმე სიცოცხლის წუთებიც დარჩენია და ბოლო ამოსუნთქვა სიმღერას ამოაყოლა. ეს მისი ბოლო ნამღერი გახლდათ, საოცრად ლამაზად შესრულებული. ამ დროს მასთან ქალიშვილი იმყოფებოდა. ასე გამოეთხოვა სამყაროს სამურზაყანოელი ბუღბუღი. დაკრძალვა მისივე სიმღერების ფონზე მოხდა. გასვენების დღეს,

ფანჩატურთან, სადაც ბატონი კოტეს ცხედარი იყო დასვენებული, შავ სუდარაგადაფარებული მისივე ცხენი „ბასირი“ იდგა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ცხენიც დასტიროდა პატრონს, ამ სულისშემძვრელ სანახაობას დიდხანს იხსენებდნენ თვითმხილველები.

ბატონი კონსტანტინე ჩიკვატია სამურზაყანოს სიამაყე და გაუხუნარი ლეგენდაა, რაც დაუფასეს კიდევაც მისმა გალელებმა — 1980 წლის ნოემბერში საიუბილეო საღამო მოუნწყევს. სინანულით ამბობდა თურმე, იციან 75 წლამდე ვერ მივალწევ და ამიტომ მიხდინა 73 წლის იუბილესო. სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა.

უკვე დევნილობაში, 1997 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, კულტურის სამინისტრომ და გალის რაიონის გამგეობამ თბილისში კინოს სახლში მოაწყო ჭეშმარიტი მამულიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ხოლო 2011 წელს, ანზორ ერქომაიშვილისა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით, კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოეწყო მისი ხსოვნის საღამო და წიგნის „სამურზაყანოელი ბუღბუღი“-ს პრეზენტაცია.

როგორც ბატონი ბაკურ გულუა ბრძანებს: **„კოტე ჩიკვატია ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, ვინც ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას და სამუდამოდ დარჩა ადამიანთა მეხსიერებაში. შეუძლებელია ამ ღვანლის დავინწყება, რადგან შეუძლებელია დავინწყებას მიეცეს ქართული ხალხური სიმღერა – მისი მშვენება — მეგრული სასიმღერო ფოლკლორი და მისი უნიკალური ნიმუშების უბადლო შემსრულებელი.“**

მასალა მომზადებულია **ნინო დადიანის მიერ.**

გამოყენებული ლიტერატურა:

ნიგინი — „სამურზაყანოელი ბუღბუღი“

მოთხოვნა ქვეყნის სახელმწიფოებრივი კომისიის მიერ

დამდენარის ვილში რამდენიმე ხელისუფლებითი დასახლებით, მათ შორის განსაკუთრებით მოკვებისა და სპორტის განყოფილება. იგი 65-70 წლის ასაკში იქნებოდა, მაგრამ ხმა შესანიშნავად უქმნდა. განსაკუთრებით მისი ხმის დასახლებით, ბ-ნი კოლე ასაკობრივად მდებარე რევიზორს დასწრებით, ასევე მოძახილას და ბანს.

ვალში ორი კვირა დავიწყეთ, ვილში სიმღერები ჩავსრულეთ კონკრეტული დანიშნულების. ამ ხნის განმავლობაში დამდენარის ვილში სკოლა ოჯახში ვეკავებოდნენ. ერთდროულად ვადავებოდა ანაზღაურებდნენ სარდალები. დღე ჩაწერა დამდენარის, სარდალს სუფრასთან ვიხილეთ უნიკალურ სიმღერებს. დღემდე სიამოვნებით ვიხსენებ ამ შეხვედრებს.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია კოლე ჩიკვაგის ოჯახში სუფრის დასახლება. ჩვენთან ერთად მოვიხილეთ აკაკი ხარებავა და კიდევ ძველი ასობის რამდენიმე დამდენარი.

ბავშვი კოლე ქიშკარში შევკვებოდა, დიდიხანა კარგი თუ, კეთილი, დანაშაული, თავდადებული. ეხილეთ რომ შევკვებოდი, აკაკი ხარებავამ „კუჩხა ბედნიერი“ წამოიხილა, კოლე მოძახილი შევკვებოდი, დანაშაული ბანს დასაფუფუნებს და ასე სიმღერ-სიმღერით შევკვებოდი ოჯახში. მანამდე სუფრასთან მივხილეთ. თანდათან დადგა. ბიწვითი სარდალები შევკვებოდი და „გეგმვათ დიდი ხანისა“ წამოიხილა. მკვდრებთან აყენებს და შესანიშნავად შეასრულებს ეს ძველებური სუფრის სიმღერა. სუფრის ძველი გრაფიკის მიხედვით წამოიხილა, ყოველ სარდალს თავისი შესაფუთავი სიმღერა მოსდევდა. ბავშვი კოლე შესანიშნავი თანდას თუ, ენაყლისა, თქმითი სავსე, ბევრი გვარისა და ბევრს სავსე სავსე სავსე ვიხილეთ. სიმღერებს უძველესი თქმითი თქმითი. შესრულდა „ჩელა“, „ვახვანაგური“, „დიდის ფარა“, „კუჩხა ბედნიერი“, „ვოკალური ჩემი კარგად“, „სიქოლ ბავ“ და მრავალი სხვა.

კოლეს დანაშაული ხმა ბედნიერი, სიმღერის დროს ასაკობრივად თანდას ვიხილეთ და ახალ-ახალ ვანიტებს ქმნიდა, იგი ნამდვილად დიდიხანა ნიქით დაკვირვებითი დამდენარი თუ, თავის მკვდრებთან კარგად თუ შედგენილი და ვასაფუფუნებელი გეგმვათ და განსაკუთრებული სასიმღერო მანერით ასრულებდა უძველეს მკვდრულ სიმღერებს. ამ დამეს ჩემთვის ბევრი უჩინარი სიმღერა მოვიხილეთ, რომელსაც დღემდე არ აძიებს ჩემი მემორიალი.

ვისაც ფილმი „კოლხური სიბრტე“ უნახავს, ალბათ კარგად დასამახსოვრებელია კოლე ჩიკვაგის სახე, რომელსაც ამ ფილმში სახსიათი სიმღერებს ასრულებს. განსაკუთრებით მოამბეტავია „ჩელა“, რომელსაც ურდის კოლხურ შედარებით აკაკი ხარებავა ასრულებს, ხოლო მას ანაზღაურებდნენ პანფილოვთან უძველესი დასახლებით და კოლე ჩიკვაგის.

კოლე ჩიკვაგის და მის მკვდრებს რომ ვიხილეთ, ვინაშინ ვიხილეთ, რომ თანა მანდალს განსაკუთრებული დამდენარეობა თქმით, მათი „ბედნიერი“ ნამდენი საუკუნეებთან წამოხილეს მანდალს თუ, უჩინარი და ვანაშაული.

ბავშვი კოლესთან ჩემი თანდასული შეხვედრა განსაკუთრებული სიამოვნებით ვამოიხილეთ, რადგან იგი მკვდრ დამდენარეობა ბიწვით ვახლდა. მისი ნათელი სახე ნამდვილად ჩაბეჭდა ჩემს მემორიალში. კოლე ჩიკვაგის კარგი დამდენარი და კარგი კარგი თუ.

დამდენარის ახილეთ.
ახილეთ უნიკალური

კოგე ჩიკვატია რაიონში უჩენლობის შესახებ და რაიონის დირექტორი ვინაიდან საუკეთესო გამგებელია თუ. მას მამამისი, ჯერ კიდევ სრულად პაგანს, უჩენს ანუ მამას უშლიდა თუ, ემხროდა ვინაიდან ან დიდი პაგანს, დედის კი უნდა, მას საფუძვლიანი განათლება მიეცა. მოგვიანებით ბავშვი კოგე უკლებლივ იქნებოდა ამ დროს შექმნილი, მავრად დაუწერელ თავისთავად პოეტურ ნაშრომზე: „მა ვამოკო ვინაიდან, დიდი უჩენს“ 1960 წელს მან საუკეთესო საზოგადოება შექმნა და მრავალი წელიწადი მისი დირექტორი იყო. თავად უბანი შედარა, ქიტკო ზუბათასთან ერთად, სამონაწილად მიუღო და მისი თანაგონის უკეთესი თუ აფხაზეთის უკეთესი ქალაქი თუ ხოციელი; მისი ხონი კოგეები უკლებლივ თუ ომში იქნებოდა, საქართველოს ლაშის უკეთესი კოგეები აფხაზ მეცნიერებთან ერთად სახელოვნოდ წარმოადგენდნენ სამონაწილად, აფხაზეთს, საქართველოს თუ საბჭოთა კავშირის ნაწილებს. ვალელოს ამ თანად ახლავდნენ დიდი პოეტად აღიარდა, რომლებმაც მრავალჯერ ასახელებს საქართველო უფრო დიდ ქვეყანაში და მის თანად ვინაიდან.

ბავშვი კოგეს ზუსტ დირექტორი ქალიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის დირექტორი – ქალიშვილი რაიონის ჩიკვატია-ქანაია, უკლებლივ საუკეთესო და სახელოვნო ოჯახის წინამძღოლი. კოგეს ოჯახი ქართული და აფხაზეთი ხელოვნებისა და კულტურის ერთგვარი საზოგადოება იყო. შიშის უკლებლივ და მანკარაში მისი სახელოვნო ოჯახი, სუბიმიტირების სახელმძღვანელო ანსამბლი, სამონაწილად სახელოვნო აფხაზეთის ოჯახის დასი და კიდევ, ვინ ჩამოვიდა, წამდენი სახელოვნო შექმნილებით კოგეები იყო და წამდენს ვამახინდებდა მისი ეხო-კანო. რაღაც თქვა უნდა, ბავშვი კოგე ამ წევრების უკლებლივ თანად იყო.

კოგე ლეკონად იქცა, მისი ოჯახი უკანდა და დღესაც უკანდა ანა მხოლოდ ვალეობას და მხიფთაობებს, წამედ აფხაზეთის უკეთესი შვილი, სრულად საქართველოს. ვალეობა მეცნიერებაში მამამთ მანკარა – ეხევილან ფლორედ ვამახინდა საზოგადოება აფხაზეთს მძღვანელად ვალის ანსამბლის დიდი მანკარა ჩინური ჩინური ეხევის პოსტზე და რუსეთის საზღვრამდე ან ვამოხინდა რუსული საუკეთესოების ჩინური, ანა უკლებლივ მამადდა. კოგე აღნი წავიდა ამ ქვეყნიდან, მავრად სიკვდილის წინა წიგნში მამადდა, კანდიდატის ინსტიტუტში კიდევ ერთი ვინაიდან ამავა ჩინური: რაღაც მიხვდა, რომ ამ ქვეყნიდან დასახელების თანად დაღვა, ვალის მიმდენს წამოიხეო, ანა თუ ომშიადა, რომ დიდი საკანდიდატო დინამიკაში ვამოხინდა.

რამონი ბილანტია
სამართლებლო პარლამენტის თანამშრომელი,
ქმნატი აფხაზეთის საპროტესტო,
ბალის რაიონული ბაზეთის ყოფილი რამადმირი

ვალეობა კოგეების დასახელებს ვინაიდან კოგე ჩიკვატია. თუ წამოიღობდა უნივერსიტეტის რაიონიდან თუ, სწავლობდა ვალის საზოგადოებო ხელოვნობა. თავისი ხასიათით, ბუნებით, მიმდენით, სიყვარულ-პაგანით მან ვალში უკეთესი შეყვარდა თავი, სკოლის დამოუკიდებელი შექმნილ ვალეობა – სულით შექმნილი შექმნილი უკლებლივ და აქვე დასახლდა. ან ვინაი, საღ თანადდა ან კანდად უჩენლობა, მავრად უნდა, რომ კოგე ამ საქმის ოცნება იყო. ბოლოს საუკეთესო სკოლის მანკარაებელი და ხელმძღვანელი ვალეობა. მიმდენს კი მისი სტიქია იყო. მანკარა მისი მონაწილეობის მიხედვით ერთი შექმნილ ვალეობა: კოგე ამოხინდა საზოგადოებო სკოლას, პირველი ვამოხინდა ქართული წიგნა. მან თუ, რომ მანკარაებელი მიხედვით ვინაიდან ვინაიდან უნივერსიტეტს აქვეს სასკენ ნიშნებს. კოგემ დაწერა თქვა სასკენი ნიშნების ვალეობა, ქვეყნით კი დასვა სასკენი ნიშნები: წიგნი, მძი, წიგნი-მძი, ორწიგნი, კოგის ნიშანი, და ა.შ. ქველ მოუწერა: „სასკენი ნიშნები, ოცნა-ოცნა ადგილებსაკენ ნაბიჯით თან!“ კოგის წიგნებს ბევრი უჩინაია ნაწილის ვალეობის და მანკარაებლობის თანად ვალეობა, დაწერა კანდა ნიშანი.

ვალერიან ზუბანი
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

აფხაზეთის არჩევნები დემოკრატიული მმართველობის პრეზენტითი აღმავნება



აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში იმართება ე.წ. რიგგარეშე „საპრეზიდენტო არჩევნები“. აღნიშნული უკანონო აქტი წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის მოჩვენებითი ელემენტებით ოკუპაციისა და ასობით ათასი ადამიანის ეთნიკური წმენდის დაფარვის მორიგ წარუმატებელ მცდელობას", - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან განდევნილ პირებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება წაერთვათ.

რაც შეეხება რეგიონებში დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობას, სამინისტროს შეფასებით, საოკუპაციო რეჟიმი მათ

ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებას, უპირველესად მათ სამოქალაქო, ეკონომიკურ და სოციალური უფლებებს ყოველდღიურად არღვევს.

განცხადების თანახმად, განსაკუთრებით შემაშფოთებელია დე-ფაქტო რეჟიმის მიერ აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მათ კიდევ უფრო შევიწროებას და ზოგიერთ შემთხვევაში განდევნას ითვალისწინებს.

„აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში უკანონოდ ორგანიზებული ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, უპირველესად სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპების სრულ უპატივცემულობასა და უგულვებელყოფას“, - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევი პოზიციის გამოხატვისა და აფხაზეთის რეგიონში უკანონოდ მიმდინარე ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნების“ დაგმობისკენ მოუწოდებს.

საქართველოს მოჭადრაკე
ვაჟთა ეროვნული ნაკრების
ასპარეზობა ნორვეგიაში



ბათუმი 2018

ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში 1 აგვისტოს საზიარო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს რიგით 41-ე საჭადრაკო ოლიმპიადა.

საქართველოს ვაჟთა ეროვნული ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობს წალენჯიხელი დიდოსტატი კონსტანტინე შანავა.



საქართველოს ნაკრებმა, ამ ეტაპზე მართალია მნიშვნელოვანი წარმატება ვერ მოიპოვა, მაგრამ საქართველოს მთავრობის ძალისხმევით გადაწყდა, რომ 2018 წელს მორიგი საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდება საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ბათუმში. იმედია სწორედ ქვეყნის სპორტისა და კულტურის სამინისტრო და შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ ამ ნაკრების შემდგომი ეტაპისთვის გაძლიერებას. თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ მემკვიდრეობას, რაც საქართველოს ჭადრაკის კუთხით გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე კონსტანტინე შანავამ დიდ წარმატებას მიაღწია – მოიპოვა ბრინჯაოს მედალი ინდივიდუალურ ჩათვლაში საკუთარ დაფაზე.

**“ნიმო რახვიაშვილის გამომცემლობა“
ბთაჰაზობთ ნიბნების, ფასიანი
ქალაღღების ბეჭღვას,
ანყობა-ღაკაბაღონებას.
ღარაკეთ ნობერზა: 599 74 68 10**

შეხვედრა

ჯვარისის სათემო განათლების ცენტრმა ლუარა ჭანტურიას უმასპინძლა



26 აგვისტოს, ჯვარის სათემო განათლების ცენტრში გაიმართა ლუარა ჭანტურიას პოეზიის საღამო. საღამოს ესწრებოდნენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, პედაგოგები და საზოგადოების წარმომადგენლები. შეხვედრა მეტად ამაღელვებელ ფონზე მიმდინარეობდა. ქალბატონი ლუარა მადლობას უხდის შეხვედრის ორგანიზატორებს ასეთი გულითადი მასპინძლობისთვის.



ვაშლის ძმარი სიღაზიისა და ჯანმრთელობის ელექსირი

უძველესი დროიდან ცნობილია ვაშლის ძმრის სასარგებლო თვისებების შესახებ. იგი გამოიყენება, როგორც კულინარიაში, ასევე ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და სრულყოფილი საშუალებაა მედიცინასა და კოსმეტოლოგიაშიც. საოცარი ისაა, რომ ვაშლის ძმარი, თითქმის მთლიანად ინარჩუნებს ცოცხალი ვაშლის შემადგენლობას და სამკურნალო თვისებებს. ამიტომ, მის ამ თვისებას ოდითგანვე წარმატებით იყენებდნენ.



* ანემიის (სისხლნაკლებობა) დროს, 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა წყალში და მიიღეთ ჭამის წინ დღეში სამჯერ.

* თუ ნაღვლის ბუშტის დაავადებები გაქვთ, დალიეთ 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმრისა და ერთი ჩაის ჭიქა წყლის ნაზავი. დღის განმავლობაში მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდება.

* თუ უძილობა და სტრესული მდგომარეობა განუხებთ, 1 ფინჯან თაფლში გააზავეთ 5 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი და მიიღეთ 2-3 ჩაის კოვზი ძილის წინ ერთი საათით ადრე. (არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ გაუზავებელი ვაშლის ძმარი!).

* თუ სახსრების დაავადება განუხებთ, მოამზადეთ შემდეგი ნარევი: ათქვიფეთ კვერცხის გული, დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი სკიპიდარი და ერთი სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი. ეს თხევადი მალამო შეიზილეთ მტკივან სახსრებთან.

* კანის, თმისა და ფრჩხილების სოკოვანი დაავადების დროს, ძალიან ეფექტურია განუზავებელი ვაშლის ძმრის ნასმა დაავადებულ ადგილებზე 6-ჯერ დღის განმავლობაში.

* თუ განუხებთ კარიესი, პაროდონტოზი და სხვა დაავადებები, ამისათვის გააზავეთ ერთი ჩაის კოვზი ვაშლი ძმარი ერთ ჭიქა წყალზე და გამოივლეთ პირის ღრუში დღეში ორჯერ.

* თუ თქვენი ნელის მოცულობა, აღემატება მკერდის მოცულობას, ან ნიკაპი ორმაგი გიხდებათ, ეს ორგანიზმის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების დარღვევაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში, ყოველ ჭამაზე მიიღეთ ორ ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი ჭიქა წყალზე. ორი თვის შემდეგ ნაწილობრივ შედეგს უკვე შეიგრძნობთ, ხოლო შედეგის მისაღებად, სასუ-

რველია აღნიშნული პროცედურა გაიმეოროთ ერთი წლის მანძილზე.

* ცელულიტისა და სტრეპტოკოკების შემთხვევაში, 2 სუფრის კოვზი ძმარი უნდა გაზავდეს ერთ ჭიქა ცივ წყალში და მიღებული სითხის საშუალებით გაკეთდეს მასაჟი პრობლემურ ადგილებზე.

თმების გასაძლიერებლად:

დაბანილ თმებზე გადაივლეთ 1/3 ჭიქა ვაშლის ძმრისა და 3 ჭიქა თბილი წყლის ნაზავი და აღარ ჩამოიბანოთ სუფთა წყლით. ასეთი ნაზავი სასწაულს ახდენს გამომშრალი, მტვრევადი, ჯანსაღი ბზინვარება დაკარგული თმის შემთხვევაში, ხელს უშლის თმის ცვენას და კურნავს ქერტლისგან.

სახის ნიღაბი

(ცხიმისანი/კომბინირებული კანისთვის):

აიღეთ 4 სუფრის კოვზი ოთახის ტემპერატურის ძმარი (არ მიიყვანოთ ადუღებამდე) დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი თაფლი და 2 სუფრის კოვზი შვრია. განმენდილ სახეზე დაიდეთ ნიღაბი და გაიჩერეთ 30 წუთის განმავლობაში. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ეს ნიღაბი ეხმარება ფერისმჭამელების მკურნალობას და ამცირებს კანის ცხიმის ნივთიერებას.

მშრალი/ნორმალური კანისთვის:

აიღეთ 1 სუფრის კოვზი არაჟანი და დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, 1 კვერცხის გული და 1 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი. ყველა ინგრედიენტი კარგათ აურიეთ ერთმანეთში და წაისვით მიღებული მასა სახეზე. გაიჩერეთ ნიღაბი 20 წუთი, ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ეს ნიღაბი კვებავს და ატენიანებს კანს, მატებს მას ტონუსს.

გამაანაღვარებელი ნიღაბი ნაპი-სმიერი ტიპის კანისთვის:

1 ცალ გახეხილ კიტრს დაუმატეთ 3 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 კვერცხის გული და 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. დაიდეთ ნიღაბი განმემდილ სახეზე, კისრის და დეკოლტეს ზონაზე 30 წუთით, ხოლო ხელის მტევნებზე 10 წუთით. ჩამოიბანეთ ნიღაბი თბილი წყლით.

ძმრის გამოყენების წინ სიფრთხილე მართებთ ვისაც ჰიპერმგრძნობიარე კანი აქვთ.



ქართული სახელმწიფოებრიობა, სულ ცოტა, 35 საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არსებული ლეგენდარული კოლხეთის სამეფო მოიცავდა საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის მეტ ნაწილს, მათ შორის აფხაზეთს. იმ პერიოდიდან ქართველებით დასახლებული აფხაზეთის ამჟამინდელი ტერიტორია უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ან ცელკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების (ეგრისი, ლაზიკა და სხვ.) შემადგენლობაში.

ძველქართული მატიანე - “ქართლის ცხოვრება” იწყება ცნობით კავკასიელ ხალხთა ეპონიმების შესახებ. ამ მატიანის მიხედვით, ტერიტორია ლიხის (სურამის) მთებიდან შავ ზღვამდე და მდ. მცირე ხაზარეთამდე (ყუბანი) წილად ხვდა ეგროსს - დასავლელი ქართველების (ეგრების) ეპონიმს. ძველი მწერლებისთვის კარგად ცნობილი აფხაზები “ქართლის ცხოვრებაში” წარმოდგენილი არიან არა უცხო ხალხად, არამედ დასავლელ ქართველთა ორგანულ ნაწილად. ზუსტად იგივე შეხედულება ჰქონდა ანტიკური ხანის თუ შუასაუკუნეების უკლებლივ ყველა რომაულ-ბიზანტიურ ავტორს, ვინც მსოფლიოს ხალხთა გენეოლოგიაზე წერდა. ისინი იცნობდნენ I-II საუკუნეებიდან წყაროებში მოხსენიებულ აფსილებს და აბაზგებს (რომლებსაც ზოგიერთი ავტორი შეცდომით თანამედროვე აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს), მაგრამ მსოფლიოს

ხალხთა ჩამონათვალში მათ ნაცვლად კოლხებს// ლაზებს//ეგრებს ანუ დასავლელ ქართველებს უთითებდნენ. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩათვლით, არქეოლოგები ერთიან ქართულ (კოლხურ) კულტურას აფიქსირებენ. აფხაზეთში ავტოქტონური ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ მეტყველებენ ანტროპოლოგიის, ლინგვისტიკისა და ეთნოლოგიის მონაცემები.

სწორედ დასავლელმა ქართველებმა შექმნეს აფხაზეთის სამეფო დედაქალაქით ქუთაისში (VIII ს. დასასრული - X ს.). ამ სამეფოს მთელი პოლიტიკური და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ჩვენამდე მოღწეული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა არის მხოლოდ ქართული. არაქართული ეთნოსის მოღვაწეობის არანაირი კვალი არ ჩანს აფხაზეთის სამეფოს იმ ნაწილშიც კი, რომელსაც აფხაზეთის საერისთავო ეწოდებოდა და ანაკოფიის (თან. ახალი ათონი) ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ამ საერისთავოს ფარგლებში, კერძოდ, ბიჭვინთაში იმყოფებოდა VIII-X და XV-XVIII საუკუნეებში ავტოკეფალური (სხვა დროს კი მცხეთას დაქვემდებარებული) დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსო კათედრა. ისტორიაში კარგად არის ცნობილი აფხაზეთის კათოლიკოსების ვინაობა - ყველა ქართველი იყო. უფრო მეტიც, ცნობილია აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების (XVI-XVIII სს.) ასობით გვარი და სახელი,

რომელიც ასევე მთლიანად ქართულია.

აფხაზეთის სამეფო წარმოადგენდა იმ ძირითად ბირთვს, რომელმაც გააერთიანა საქართველო. ერთიანი სახელმწიფოს სათავეში იდგნენ აფხაზური (დასავლურ ქართული) სამეფო დინასტიის წარმომადგენლები. XI ს. დასაწყისში ქართულ ენაზე შედგენილი უნიკალური ისტორიული წყაროს “აფხაზ მეფეთადივანის” მონაცემები ადასტურებენ ამ მეფეთა ეროვნულ კუთვნილებას, მათ ქართველობას. იგივეს ამტკიცებენ აფხაზეთის მეფეთა ან მათი სახელით შესრულებული მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები (არ არსებობს აფსუურ-აფხაზურ ენაზე შესრულებული რაიმე წარწერა). გაერთიანებული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი XIV ს. შუახანებამდე მაინც აღწევდა ნიკოფსიამდე (V საუკუნემდე ძველი ლაზიკა ერქვა). რომელიც ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მხოლოდ ქართულმა კულტურამ. ამავე დროს, აღნიშნულ რეგიონში არაქართული მოსახლეობის, მათ შორის აფსუების (დღევანდელ აფხაზთა თვითსახელწოდება) პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის კვალი არ შემორჩენილა. შიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ XIII ს. მეორე ნახევრიდან მონღოლთა მონოლის შედეგად აფსუები (I საუკუნეში პლინიუს უფროსი ამ ხალხს ასტრახანის ჩრდილოეთით აფიქსირებს აბზოას სახელით), დაიძრნენ რა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, შემოვიდნენ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწიეს აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიამდე.

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის პერიოდში (XIII ს. შუახანებიდან XIV ს. შუახანებამდე) იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დეზინტეგრაციის პროცესი. ჯერ წარმოიშვა იმერეთის სამეფო (აფხაზეთის სამეფოს სამართალმემკვიდრე), რომლის შიგნით დაიწყეს გამოცალკეება სამეგრელოსა და გურიის სამთავროებმა. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე (დაახლოებით, თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას). სახელგანთქმულმა მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ (1313-1346წწ.) ქვეყანა მონღოლთა უღლისგან გაანთავისუფლა და კვლავ გააერთიანა სრულიად საქართველო ნიკოფსიამდე. აფხაზეთის საერისთავო, როგორც სამეგრელოს სამთავროს ნაწილი, ამჯერადაც ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. გიორგი V ბრწყინვალეს მემკვიდრეებმა, განსაკუთრებით ალექსანდრე I-მა (1412-1443წწ), შეინარჩუნეს და განამტკიცეს ქვეყნის ერთიანობა. მის ფარგლებში

იყო მოქცეული აფხაზეთის საერისთავო-დღევანდელი გუდაუთის რაიონი. ანაკოფია, ქ. ცხუმი და მათი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურამდე მდებარე მიწები სამეგრელოს სამთავროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ, რასაც მოწმობენ მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური, მათ შორის რუსული წერილობითი თუ კარტოგრაფიული წყაროები. მათგან შიძლება გამოვყოთ მასალები ცხუმში//სოხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის მოღვაწეობის შესახებ (1354-1475წწ.). ისინი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ, რომ გენუელებს ცხუმში ურთიერთობა ჰქონდათ მხოლოდ სამეგრელოს (“ქვემო ივერიის”) მთავრებთან და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან.

XV ს. ბოლოსთვის საქართველოს სახელმწიფო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო, რჩებოდა რა სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში, სხვა საერისთავოების მსგავსად, მეტი თავისუფლებისთვის იბრძოდა. XVI ს. შუახანებისთვის აფხაზეთის მფლობელებმა თურქეთისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი წარმართი (ნაწილობრივ მაჰმადიანი) მთიელების დახმარებით თავიანთი მდგომარეობა განიმტკიცეს. იმ პერიოდში მთიელთა მასობრივმა ჩამოსახლებამ მთლიანად შეცვალა აფხაზეთის საერისთავოს – ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე მდებარე ტერიტორიის – მოსახლეობის ეთნიკური სურათი. შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსი იძულებული გახდა აფხაზეთის საერისთავო დაეტოვებინა და საკათოლიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაეტანა. ფუნქციონირება შეწყვიტეს საერისთავოს ტერიტორიაზე მოქმედმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ეკლესიებმა და მონასტრებმა. აფხაზეთის საერისთავოზე სრული კონტროლის აღდგენა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657წწ.) მოახერხა. მანვე ქრისტიანობის აღდგენის მიზნით საერისთავოს ახალი მოსახლეობა (40 ათას კაცამდე) მონათლა და მათ ეპისკოპოსიც დაუნიშნა.

XVI-XVII საუკუნეებში ქართული სამეფო-სამთავროები, რომლებიც 1555 წლიდან ირანმა (ერგო



აღმოსავლეთ საქართველო) და თურქეთმა (ერგო დასავლეთ საქართველო) გადაინაწილეს, ამოდ ცდილობდნენ ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრული, სამფარველო ურთიერთობების დამყარებას. 1638წ. 12 დეკემბერს რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორესძეს ძემ მოსკოვში სამეგრელოს ელჩი მიიღო, 1639 წ. ნოემბრიდან 1640 წ. მაისამდე კი სამეგრელოში რუსი ელჩები სტუმრობდნენ. ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი ანგარიშები (გამოიცა 1888 და 2005 წლებში) აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე არსებული ეთნოპოლიტიკური სიტუაციის მკაფიო სურათს გვიხატავენ. ისინი დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ XVIII ს. შუახანებისთვის სამეგრელოს სამთავროს ეთნიკური საზღვარი, სულ ცოტა, კელასურამდე მაინც აღწევდა (სამეგრელოში მოგზაურობისას, რუსმა ელჩებმა დრანდის მონასტერიც დაათვალიერეს), დადიანების პოლიტიკური ძალაუფლება კი თანამედროვე აფხაზეთის მთელს დანარჩენ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა (მოსკოვში მყოფი სამეგრელოს ელჩის ინფორმაციით, სამეგრელოსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი, რომელსაც ლევან II დადიანი ნიშნავდა, ბიჭვინთაში იჯდა). ელჩობის მასალებში არაფერია ნათქვამი აფხაზეთზე, თუმცა რუსმა ელჩებმა მოიარეს მთელი სამეგრელო, მათ შორის ამჟამად უკვე აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალი გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონები. რუსეთის ხელმწიფე მიხეილ თევდორეს ძე 1639წ. 30 მაისის სიგელში ლევან II დადიანისადმი სამეგრელოს, რომელიც მაშინ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიასაც მოიცავდა, ივერიის ქვეყანას უწოდებს. საპასუხო სიგელში (1640წ. 15 მაისი) ლევან II დადიანი რუსეთის ხელმწიფეს აცნობებდა, რომ ის იმყოფება “ივერიის ქვეყნის სამეგრელოს მხარეში”. ამრიგად, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია რუსეთმა პირველად ოფიციალურად გაიცნო როგორც ივერიის ქვეყნის ნაწილი.

XVII ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე ცხუმთან ახლოს ფუნქციონირებდა სამეგრელოს მთავრების საფორტიფიკაციო ნაგებობა – ე.წ. კელასურის კედელი. ის აღნიშნულია XVII ს. პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების არქ. ლამბერტისა და ქრისტ. კასტელის მიერ შედგენილ რუკებზე შემდეგი წარწერით: „60 ათასი ნაბიჯის კედელი აბაზთა თავდასხმების შესაჩერებლად“. XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთში დამკვირვებელი აფხა-აბაზები (როგორც აფხაზეთში მცხოვრებთ, ქართველები მათ აფხაზებს უწოდებდნენ) შერვაშიძეების ხელმძღვანელობით ნამდვილად ესხმოდნენ თავს სამეგრელოს, ცდილობდნენ რა საერისთავოს საზღვრების გაფართოებას და მთავრის ძალაუფლებისგან განთავისუფლებას. იმავდროულად, აფხაზეთის მფლობელები საკუთარ

თავს საქართველოს სახელმწიფოს მიაკუთვნებდნენ და ქართველ მეფეებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. მაგალითად, 1661 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ ვახტანგ V (შახნავაზი) დროებით ქვეყნის დასავლეთი ნაწილიც დაიქვემდებარა, აფხაზეთის მფლობელებმა სრული მორჩილება გამოუცხადეს მეფეს, ამ უკანასკნელის ბრძანებით, ასევე – სამეგრელოს მთავარს.

შემდგომ წლებში ვითარება ქვეყანაში შეიცვალა. თურქეთისა და ირანის მიერ გაყოფილი საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა, გამწვავდა ძირითადად გარედან ინსპირირებული შიდაომები. სამეგრელოს ძვირად დაუჯდა რუსი ელჩების მიღება, აგრეთვე თურქების წინააღმდეგ მებრძოლი რუსი კაზაკებისთვის დახმარების აღმოჩენა. ცდილობდა რა სამეგრელოს იზოლირებას რუსეთისაგან, თურქეთმა გააქტიურა მასზე თავისი მოკავშირე მთიელების თავდასხმები. დადიანებთან დაპირისპირებაში შერვაშიძეებიც მთიელებს ეყრდნობოდნენ. XVII ს. 80-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს სამთავრო ტახტისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩართულმა თავადმა აფხაზეთიდან სავარეხ (სორეკ) შარვაშიძემ სწორედ მთიელთა დახმარებით მიაღწია წარმატებას და მდ. ენგურამდე ტერიტორიას დაეუფლა და მას სამეგრელოს მთავრის ტიტულით მართავდა. ვინაიდან მან ვერ შეძლო დანარჩენი სამეგრელოს დაკავება, მდ. ენგურამდე მდებარე მიწები მალე აფხაზეთის ნაწილად გამოცხადდა. დაპყრობილი ტერიტორიის ახლადმოვლენილმა მფლობელებმა, უპირველს ყოვლისა, ქართული თავადაზნაურობისა და სამღვდლოების წარმომადგენლები გაანადგურეს, სასტიკად გაუსწორდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი მონებად და დევნილებად აქციეს ან ტყვედ გაყიდეს; დაკავებულ ტერიტორიაზე აბაზები, ყაზარდოელები და სხვა მთიელები ჩამოასახლეს: დაანგრეს ან ფუნქციონირება შეწყვიტეს საუკუნეების განმავლობაში შექმნილმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა, მათ შორის ზოგადქართული მნიშვნელობის კულტურულმა ცენტრებმა — ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრამ, დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსო კათედრებმა, აგრეთვე ქართული წარწერებით შემკულმა ლიხნის, ანუხვის, ანაკოფიის, ნებელის, ქიჩის, ჭალას (ჭლოუ) და სხვა ეკლესიებმა; ჯერ გაძარცვეს და მერს საერთოდ მოშალეს ბიჭვინთის საკათალიკოსოს კუთვნილი მეურნეობები. მხოლოდ მდინარეების ენგურ-ღალიძგის მონაკვეთზე, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში კვლავ დადიანების გამგებლობაში დაბრუნდა, მოხერხდა ბედიისა და ილორის მოქმედი ტაძრების შენარჩუნება.

გაბრიელა შიშელა ნოშიაძე

მერი ბიგვაჟა

დეკნილთა საერთო

ტკივილს ახმაურებს

მერი ბიგვაჟამ სოხუმი ქალაქის დაცემის ბოლო დღეს, 1993 წლის სექტემბერში დატოვა. ქალაქის დატოვებისას მისი მოხუცი მამის სიცოცხლე სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. მერიმ მამის საფლავის ადგილი დღემდე არ იცის. დაუბოძებს სახლი, გადაუწვევს ქონება.

მას შემდეგ ხან ერთ, ხან მეორე ნათესავთან, ხან კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. პროფესიით ინგლისური ენის მასწავლებელია და თავს კერძო გაკვეთილებით ირჩენს, თუმცა, ის მცირედი თანხა, რის გამომუშავებას ახერხებს, მხოლოდ ბინის ქირის გადასახდელად თუ ყოფნის.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა არაერთი მინისტრის სახელზე, თავშესაფრის გამოყოფის თხოვნით (როგორც დევნილისთვის) უამრავი განცხადება აქვს დაწერილი. თუმცა მათგან არათუ საცხოვრებელი ადგილი, პასუხიც კი არ მიუღია...

...ეს იქნებოდა ჩვეულებრივი, „საშუალო სტატისტიკური“ დევნილის ისტორია, რომლის მსგავსიც ასობით დაბეჭდილა პრესაში, ჩაუწერიათ რადიოებს, გადაუღიათ ტელევიზიებს, გამოუქვეყნებიათ ინტერნეტ გამოცემებს. არათუ ისტორიები, მათი გადმოცემის მეთოდებიც კი ერთნაირი, ყალიბში მოქცეული და სტერეოტიპულია. „შეჭრილი“ და „შესახლებული“, დევნილების მძიმე სოციალური პირობების აღწერა, სტერეოტიპების გამამყარებელი, კლიშეებით დახუნძული ტექსტებით, ჩვეულებრივი მოვლენაა.

თუმცა, თქვენს წინაშე არ არის კიდევ ერთი რიგითი დევნილის, მერი ბიგვაჟას, კიდევ ერთი გაჭირვების ისტორია, რომელიც ბიუროკრატიულ ბარიერებს უმწეოდ აწყდება. არამედ, ეს არის ერთი ადამიანის დაპირისპირება სისტემ(ებ)ის წინააღმდეგ, ეს არის - მერი ბიგვაჟას ბრძოლა.

მან სხვა დევნილებთან ერთად თბილისში, ნოემბერში, სვანეთის მთებით, ჭუბერის გავლით ჩამოაღწია. პირველი განცხადება თავშესაფრის თხოვნით ნოემბერშივე დაწერა და ე.წ. დევნილთა შტაბში ჩააბარა, - სამინისტრო ჯერ შექმნილი არ იყო,



არსებობდა უწყება, რომელსაც დევნილთა დახმარების შტაბი ერქვა.

განცხადება მიიღეს მაგრამ, განუცხადეს, რომ ვერ დაეხმარებოდნენ, რადგან პირველ რიგში ბავშვებიანი ოჯახები, მოხუცები და ავადმყოფები უნდა დაეაბინავებინათ. „დანარჩენებს კი, მათ შორის მეც, გვითხრეს: - თავს თვითონ უშველეთ. თუ გყავთ ნათესავები, ნაცნობები საქართველოს ფარგლებს გარეთ, წადით და იქ ეძებეთ თავშესაფარი“.

დევნილების უმრავლესობას უცხოეთში წასასვლელი გზის ფული არ ჰქონდა. მთავრობამ ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაწყვიტა: შესაბამისი საბუთის წარდგენისას ბაქოს, ერევნის და რუსეთის ორი ქალაქის - მოსკოვისა და როსტოვის მატარებელზე ბილეთებს უფასოდ აძლევდნენ.

მერის და ბელორუსში იყო გათხოვილი და მერიმაც მასთან წასვლა გადაწყვიტა. ოთხი დღე ბილეთის აღებამდე ქუჩაში მოუწია ცხოვრება, ღამეებს რკინიგზის სადგურში ათენებდა. ასეთ დღეში ათასობით დევნილი იყო. მეოთხე დღეს როსტოვამდე ბილეთი მისცეს და მანაც საქართველო დატოვა. - „ეს ჩვენი, დევნილების გაძევებას უფრო ჰგავდა სამშობლოდან, ვიდრე მთავრობის ზრუნვას და დახმარებას მისი მოქალაქეებისთვის. ასე, მეორეჯერ განმდევნეს - ჯერ სოხუმიდან და მერე სულაც საქართველოდან“.

2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა. ახალმა პრეზიდენტმა მიმართა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ყველა მოქალაქეს, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში: - მთავრობა ყველას მიხედავსო, „მეც დაუფერე და ჩამოვედი.

ჩამოსვლისას კიდევ ერთი განცხადება დავწერე საცხოვრებლის ან დაკარგული ბინების კომპენსაციის თხოვნით. ეს იყო 2004 წელი“.

მას შემდეგ მთავრობისგან ვალდებულების შესრულებას ელის. „დღემდე ვიბრძვი ჩემი უფლებებისთვის. უამრავი განცხადება დავწერე, უამრავი შეუსრულებელი დაპირება მივიღე“.

მთა და კენჭები

უნდა არსებობდეს, თუ არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო? ამ კითხვას მერი ბიგვავა ხშირად სვამს. დეკნილი პედაგოგი ცდილობს საკითხს საფუძვლიანად და მასშტაბურად შეხედოს: „ვიღაც შეასახლეს, ვიღაც გამოასახლეს, ვიღაცას უჭირს... ეს კენჭებია, იმ დიდი და გადაუნყვებელი პრობლემის კენჭები, რასაც დეკნილობა ჰქვია, „მთა“ კი სხვაა, რომელსაც რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ვერ ამჩნევენ“

ბიგვავა ფიქრობს, რომ მთავარი პრობლემა იმ სისტემებსა და სტრუქტურებსა, რომელთა ხელმძღვანელებსაც ფორმალურად დეკნილობა საკითხების მოგვარება ევალებათ, თუმცა ამის გაკეთების არანაირი მოტივაცია არ გააჩნიათ, რაკილა მათი შემოსავლის, კომფორტის და ფუფუნების წყარო სწორედ დეკნილობა მოუგვარებელი პრობლემებია.

მერი ბიგვავა დაბალ ხმაზე, ერთგვარი „სტაკატოებით“, ხაზგასმული თავაზიანობით საუბრობს, მოსაუბრესთან ეტიკეტურ დისტანციას ინარჩუნებს. მისი მეტყველების მანერა ოდნავ დაძაბულია, ზოგჯერ წყვეტილი, - როდესაც კონტექსტისთვის შესაბამის სიტყვებს ეძებს. შუა ხნის, დაფარული ენერგიით სავსე, გამხდარი ქალბატონი გამოთქმებს განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევს, საუბრისას ზოგჯერ ემოცია იფეთქებს, თუმცა მხოლოდ წამიერად, ბიგვავა ემოციას მასწავლებლებისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით თოკავს. ზოგჯერ წინადადებას არ ასრულებს, ეს მაშინ როდესაც დასრულებას საჭიროდ არ მიიჩნევს. ამას ერთგვარი ხელის ჩაქნევით გამოსახავს.

ის ქავთარაძეზე, ერთოთახიან, ძალიან პატარა, თუმცა სუფთად მოვლილ, ნაქირავებ ბინაში გემასპინძლობს. კედლებთან განლაგებულ თიხის ქოთნებში ჩამწკრივებული, კარგად მოვლილი ყვავილების ზემოთ, მისი ხელით შესრულებული ნაქარგებია გამოფენილი. ერთი შეხედვითვე მიხვდებით, რომ მცირე ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, შინაგანი წესრიგით ნაკარნახევი, მცირე კომფორტის მოწყობა მისთვის რთული ამოცანა არაა.

სასამართლო

სასამართლოების ყველა ინსტანცია, სახალხო დამცველის აპარატი, სამინისტროები, მათი დეპარტამენტები და სააგენტოები, უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიები, პრესა, რადიო, ტელევიზია, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები... წლებია მერი ბიგვავა საკუთარი

უფლებებისთვის რუტინულ ბრძოლას აწარმოებს.

პირველად სასამართლოს 2010 წელს „გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების“ მოთხოვნით მიმართა. „გავიდა ყველა ის გონივრული ვადა, რის განმავლობაშიც შეიძლებოდა დავლოდებოდი მთავრობის მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას – თავშესაფრის გამოყოფას. როდესაც მთავრობის მოხელეები 17 წლის განმავლობაში არ ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, გამოსავლად სასამართლოში დავა მივიჩნიე“.

მერი იმ მომენტს იხსენებს, როდესაც სასამართლოში ფეხი პირველად შედგა. სარჩელის მომზადებაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ნონა ქურდოვანიძე დაეხმარა, თუმცა თავდაპირველად პროცესებზე გასვლა მარტოს მოუწია. „სასამართლო შენობაში დაბნეული ვიდექი და აქეთ-იქით ვიყურებოდი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, ვისთვის მიმემართა, ვის უნდა ჩაებარებინა ჩემი სარჩელი, ტაბლოებზე განთავსებული განყოფილებები, სხდომათა დარბაზები და მათი ჩანიშვნის თარიღები, ჩემთვის ეს ყველაფერი უცხო იყო.“

იმის გარკვევაში, რომ სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა განყოფილებაში უნდა ჩაებარებინა, მანდატურის სამსახურის თანამშრომლები დაეხმარნენ, ამ იურიდიული გამოცდილებით გავიდა მერი ბიგვავა პროცესებზე...

პირველმა ინსტანციამ მისი მოთხოვნა „საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე“, არ დააკმაყოფილა, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, უზენაესმა სასამართლომ კი საქმე არც კი განიხილა.

ამის შემდეგ ბიგვავამ შეძლო ის, რასაც თავად დღემდე ვერ იჯერებს - მას ერთი გზა დარჩენოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

არცერთი იურისტი, არცერთი უფლებადამცველი, არცერთი სპეციალისტი არ დახმარებია მერი ბიგვავას, აფხაზეთიდან დეკნილ ინგლისური ენის მასწავლებელს, სტრასბურგის სასამართლოსთვის სარჩელის მომზადებაში. რამდენიმე კვირის განმავლობაში სწავლობდა სარჩელის ფორმის შედგენას, რომელიც ევროპული სასამართლოს საიტიდან ჩამოწერა, „არავინ მყავდა, რომ კითხვებზე ეპასუხა, უბრალოდ „კი“, ან „არა“ ეთქვა, როდესაც იურიდიულ დეტალებში ვიკარგებოდი.“

ბიგვავამ არასამთავრობოების გარდა დახმარების თხოვნით ახლანდელ იუსტიციის მინისტრსა და მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, თეა წულუკიანსაც მიმართა, და საკუთარი ხელით შედგენილი სარჩელი გადასამომწებლად გაუგზავნა. გავიდა ერთი თვე, ორი, სამი... სასარჩელო ვადა იწურებოდა. როდესაც წულუკიანის შესწორებული ვერსია დაუბრუნდა, ამ ვადის ამონაწერად რამდენიმე დღეა იყო დარჩენილი და მერი ბიგვავას

სასამართლოში სარჩელი უკვე გაგზავნილი ჰქონდა.

ბიგვავას დიდი იმედი არ ჰქონია, რომ საერთაშორისო სასამართლო მის მიერ დანერგილი სარჩელის განხილვას დაიწყებდა, თუმცა სტრასბურგიდან პასუხი მოვიდა - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე - მერი ბიგვავა საქართველოს წინააღმდეგ - წარმოებაში მიიღო.

პარალელურ სასამართლო დავას მერი ქართულ სასამართლოშიც ანარმოებს, საქმე იმ ანკეტა/კითხვარს უკავშირდება, რომლითაც წინამდებარე სტატია იწყება.

„ის კითხვარი, რომელიც სამინისტროს ჩანერილი აქვს დანართ 3-ში, შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად, ე.ი. კანონდარღვევად.“

სოციოლოგიურ მეცნიერებაში სოციალური კვლევის მონაცემების შეგროვების, ორგანიზებისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ანკეტირება / კითხვარი ერთ-ერთი ასეთი მეთოდია. მაგრამ, სოციალური კვლევების დროს ანკეტირების პროცესში დაცული უნდა იყოს რესპონდენტის ანონიმურობა. ე.ი. მე შემიძლია კითხვებს გავცე პასუხი ჩემი პიროვნების დასახელების გარეშე. ჩვენს შემთხვევაში კი, პირადობის დადასტურება პროცედურის აუცილებელი კომპონენტი იყო. ეს კი კანონდარღვევაა. ეს ერთი.

მეორე - სოციალურ კვლევებში ანკეტირება ნებაყოფლობითი პროცესია. სამინისტრომ კი იძულებული გახდა ადამიანი გაემყლავენებინა ინფორმაცია მის ჯანმრთელობაზე, ფინანსებზე და სხვა პირად საკითხებზე. კითხვებს პასუხი თუ არ გაეცი და ანკეტირება თუ არ გაიარე - ბინას არ მოგცემენ. ე.ი. სამინისტრომ აიძულა დევნილები გაემყლავენებინათ ინფორმაცია მათი პირადი ცხოვრების შესახებ. ესეც კანონდარღვევაა ათასობით ადამიანის მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციაში, 20-ე მუხლში წერია: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი ... ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის, მეორე პუნქტში წერია: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში წერია: 1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.

მიმაჩნია, რომ მინისტრის 320 ბრძანების, დანართი 3-ის კითხვები: „საშუალოდ რამდენს ხარჯავთ ტანსაცმელზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე (მათ შორის საპონზე, ტუალეტის ქაღალდზე და ა.შ.) ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შეურაცხმყოფელია დევნილებისთვის და ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევაა.“

მინისტრის 320 ბრძანების, დანართი 3-ის მოდულის: 3 კითხვები არაადეკვატურია და ვერ ემსახურება მისაღწევ მიზანს - დაადგინოს აპლიკანტის, ანუ ჩვენ შემთხვევაში დევნილის, მატერიალური მდგომარეობა რადგან:

კითხვების უმრავლესობა, რომლებიც ამ ანკეტაში არის ჩანერილი: თვეში საშუალოდ რამდენს ხარჯავთ კვებაზე, ტანსაცმელზე, სამომხმარებლო საგნებზე და ა.შ. სოციოლოგიურ კვლევებში ისმება სამომხმარებლო კალათის და მისი ჯამობრივი ციფრის გასარკვევად და არა ადამიანის მატერიალური მდგომარეობის დასადგენად. სამომხმარებლო კალათა სამომხმარებლო ფასების ინდექსის ანუ ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის დასაანგარიშებლად გამოიყენება. ზოგჯერ, მსხვილი კომპანიებიც იყენებენ ამგვარ კითხვარს მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად.

კითხვებით: რომელ საპონს თუ შამპუნს ხმარობთ და რამდენს ხარჯავთ ტანსაცმელზე, ამით რას ადგენდნენ? მოგეხსენებათ, ზოგი ადამიანი ჭამასმაზე ხარჯავს მთელ თავის ფულს, ზოგი გართობაზე, ზოგიც წიგნებზე და ცოდნაზე. მე ჩემს ფულს რაში ვხარჯავ - ვისი რა საქმეა? ამრიგად დანართი 3-ის, მოდული 3-ის „ოჯახის საშუალო თვიური ხარჯი“ კითხვები ვერ განსაზღვრავენ ადამიანის მატერიალურ, თუ სოციალურ მდგომარეობას“.

ეს არის ამონარიდი იმ სარჩელიდან, რომელიც მერი ბიგვავამ ასევე თვითონ დანერა და რომელიც მოსამართლიდან მოსამართლეზე გადადის, თუმცა მისი განხილვის დაწყებას ჯერჯერობით საშველი არ დაადგა. ამის მიუხედავად, მერი ბიგვავა არ ნებდება. მას მიაჩნია, რომ ის არა ადამიანის, არამედ ადამიანების უფლებების დასაცავად იბრძვის. როდესაც ბიუროკრატიული ზღუდეების გზაზე გადახდენილ ისტორიებს იხსენებს, ყველაზე ემოციურად არა საკუთარი თავგადასავალი, არამედ ის მცირეწლოვანი ბავშვები თუ საკაცეებით მოყვანილი მოხუცები აგონდება, რომლებიც მასთან ერთად დევნილთა გრძელ რიგებში არა საათობით, არამედ დღეობითაც მდგარან, მერი ბიგვავა ფიქრობს, რომ მისი გამარჯვება ყველა დევნილის გამარჯვება იქნება, მერი ბიგვავა ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს...

დავით დარახველიძეს აფხაზეთის სადემოკრატიული ღვაწდი დაუფასა

დავით შაქროს-ძე დარახველიძე დაიბადა 1958 წლის 5 მაისს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში. დავითის მამა, შაქრო ალექსანდრეს-ძე დარახველიძე, რომელმაც 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სატყეო სამრეწველო ინსტიტუტი, იყო მეტყევე ინჟინერი და თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე სადმელის სატყეო მეურნეობაში მუშაობდა, სადაც გაიარა ღირსეული გზა ტყის მცველის თანამდებობიდან მეურნეობის მთავარი ინჟინრის თანამდებობამდე, რომელზედაც 1980 წლამდე, თითქმის ათეულ წელზე მეტი იმუშავა. ბატონი შაქრო იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა მესამე უკრაინის ფრონტზე. ბატონი შაქროს მეგობრები, კოლეგები და ოჯახის წევრები იხსენებენ მას, როგორც ავტორიტეტულ, პრინციპულ, სამართლიან და პროფესიონალ პიროვნებას. იგი გარდაიცვალა 1993 წელს.

დავითის დედა, **თამარ სარდიონის-ასული დავითულიანი**, რომელმაც 1941 წელს დაამთავრა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი ექიმ-თერაპევტის სპეციალობით, ასევე განვეული იქნა მეორე მსოფლიო ომში, იყო სამხედრო ექიმი კაპიტანის სამხედრო წოდებით. ქალბატონი თამარი ათეული წლების მანძილზე და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სადმელის თემის სამედიცინო ამბულატორიის მთავარ ექიმად. ქალბატონი თამარი ცნობილი იყო, როგორც უაღრესად მაღალი კვალიფიკაციის ექიმი - დიაგნოსტიკი, ათწლეულების მანძილზე ზრუნავდა სოფლების: სადმელის, კლდისუბნის, ბოსტანის, ღვიარის, ზნაკვის, საკეციის და სხვათა მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. დღისით და ღამით, ფეხით, ცხენით თუ მანქანით დაუზარლად მიიქაროდა ადამიანებთან ბინაზე სამკურნალოდ. ქალბატონი თამარი 1997 წელს გარდაიცვალა. ბატონი შაქრო და ქალბატონი თამარი დაკრძალული არიან სოფელ ბოსტანაში.

ბატონ დავითს ჰყავს ერთი დედმამისშვილი, და იზოლდა დარახველიძე, ექიმი-სტომატოლოგი, ჰყავს ოთხი შვილისშვილი და ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

დავით დარახველიძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, უყვარდა სპორტი, ხელოვნება. მან 1975



წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სადმელის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამმენებლო ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1980 წელს სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრის კვალიფიკაციით.

შრომითი საქმიანობა ბატონმა დავითმა დაიწყო 1980 წელს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. მუშაობდა მშენებლობის ოსტატად, საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1982 წლიდან დავითი აფხაზეთში აგრძელებს მოღვაწეობას ჯერ ოჩამჩირის რაიონის კინდლის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე მოძრავი მექანიზირებული რაზმის უფროსად, ხოლო შემდეგ მე-7-ე ტრესტის სისტემაში საწარმო-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსად, სამრეწველო საწარმოთა კომბინატის დირექტორად, გულრიფშის მოძრავი მექანიზირებული კოლონის

უფროსად, სადაც მან 1993 წლის ბოლომდე ანუ სოხუმის დაცემამდე იმუშავა.

აფხაზეთში ხდება ბატონი დავითის, როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერი, პროფესიონალი ხელმძღვანელი მუშაკის და უაღრესად კომუნიკაბელური, თბილი და კეთილშობილი პიროვნების ჩამოყალიბება. იგი წარმატებას წარმატებაზე აღწევს თავის კარიერაში. ის წყვეტს ურთულეს ამოცანებს და პრობლემებს აფხაზეთში სოციალურ-კულტურული, სამრეწველო და სამხედრო, ასევე ადმინისტრაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ამის შესახებ აქტიურად საუბრობდა აფხაზეთის მასმედია.

აფხაზეთშივე დასახლდა ბატონი დავითი, შერთო მეუღლე ნინო საგანელიძე, შეეძინათ ორი ვაჟი ალექსანდრე და არჩილი, შეიძინეს მრავალი მეგობარი, ნათესავი და კეთილი მეზობელი, რომლებთანაც ურთიერთობას დღესაც აქტიურად აგრძელებენ!

სამხედრო კონფლიქტმა და რუსეთის აგრესიამ. ყველაფერი თავდაყირა დააყენა დავითი მონაწილეობას იღებდა საომარ მოქმედებებში. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ დაბრუნდა რაჭაში.

1995 წლიდან ბატონი დავითი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული კონტროლის პალატის თავმჯდომარეა. 1998 წლიდან ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილედ, ხოლო 2003-04 წლებში პრეზიდენტის რწმუნებულად, გუბერნატორად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. თავის მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას აქტიურად ახმარდა მხარის სოციალურ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. დაიმსახურა რაჭველების, ლეჩხუმელებისა და სვანების სიყვარული და თანაგრძნობა. პარალელურად დავით დარახველიძე აგრძელებს ცოდნისა და უნარების გაფართოებას. 1991-96 წლებში ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს იურისტის სპეციალობით, ხოლო 2001-2002 წლებში ევროსაბჭოს თბილისის პოლიტიკური სკოლის კურსს და ყალიბდება პოლიტიკოსად!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში დავით დარახველიძე იძულებული გახდა დაეტოვებია გუბერნატორის პოსტი და რეალურად იწყება მისი დევნა პოლიტიკური ნიშნით. იწყება სასამართლო დავების პერიოდი, სამსახურების ძებნა, სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება, ისევ სასამართლო დავა, აღდგენა, ისევ უკანონო გათავისუფლება და ა.შ. მაგრამ ამ პერიოდში ის მაინც ახერხებს საკუთარი ხელით გააშენოს ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ვაზის უნიკალური ვენახი სოფელ ღვიარაში, რომლითაც იგი საფუძვლიანად ამყობს!!! შემდეგ მთავრობა ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელობით,

ართმევს ამ ვენახს, მაგრამ დავითი სასამართლოს მეშვეობით იბრუნებს უკანონოდ წართმეულს!! ამ პერიოდში იხვეწება ბატონი დავითის საადვოკატო და აუდიტორული პრაქტიკა!

ამავდროულად, ბატონი დავით დარახველიძე, 2008 წლიდან აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას ეროვნული ფორუმის შემადგენლობაში და აქტიურად იბრძვის ნაციონალური ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე, ხოლო 2012 წელს

სამხედრო კონფლიქტმა დავითის სხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა

კენჭს იყრის ამბროლაურის მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატად კოალიცია ქართული ოცნებიდან, მაგრამ რეჟიმი ამარცხებს მას სულ 106 ხმის სხვაობით!!

2012 წლის ოქტომბერში, ბატონი ბიძინა ივანიშვილის წარდგინებით, დავით დარახველიძე ინიშნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრად. ურთულეს თანამდებობაზე. ამ დროისათვის მიმდინარეობდა დევნილთა პერმანენტული აქციები, ისინი ათასობით იჭრებოდნენ და იკავებდნენ სხვადასხვა შენობებსა და ნაგებობებს. ბატონმა დავით დარახველიძემ, თავისი მდიდარი და მრავალმხრივი ცოდნისა და გამოცდილების მეშვეობით, კეთილი ბუნებითა და საოცარი კომუნიკაბელობით, კოლოსალური ენერჯისა და თმენის ხარჯზე, თავი გაართვა შექმნილ მდგომარეობას, დაანყნარა სიტუაცია და განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები ამ სფეროში. შეცვალა კანონმდებლობა, გაზარდა დევნილთა შემწეობა, დაამყარა სამართლიანობა და ობიექტურობა ბინების განაწილების პროცესში, გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებში და მიაღწია სოხუმის აეროპორტის ბაბუშერას სამარხიდან გმირი ქართველი მეომრების ცხედრების გადმოსვენებას და ოჯახებისათვის გადაცემას. დავით დარახველიძის მინისტრობის დროს 2000-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა და 8000-ზე მეტმა დევნილმა მიიღო მუდმივი საცხოვრებელი ბინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის დედაქალაქ თბილისში 550-მა ოჯახმა.

დავით დარახველიძემ მინისტრის თანამდებობაზე იმუშავა 2014 წლის 21 ივლისამდე. ამ დროისათვის ის უკვე ბაბუაა, სანდროს და რუსუდანს შეეძინათ ვაჟიშვილი, პატარა დავით დარახველიძე!!! ცხოვრება გრძელდება.....

**ტუჩვის დიდიმსებაშა
რუსუდან გორდუზიანიშა
შაჩათიანი შუაგურ
ღეშაშას სსთუნანს
ეიშაღუნა**



**25 წლის
რუსუდან გორდუზიანი
რეკორდსმენი გახდა**

გოგონამ 46 500 მეტრი 24 საათის მანძილზე ყოველ საათში 5-წუთიანი შესვენებით გაცურა. 24 საათის განმავლობაში ავტორიტეტული კომისია აფიქსირებდა მოცურავის მიერ გაცურულ ყოველ 100 მეტრს.

კომისია მთელი პროცესის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა მარათონელის ყოველ მოძრაობას, რომელიც წარმატებით დასრულდა. საბოლოოდ, რუსუდანმა გაცურა 46 500 მეტრი და დაამყარა საქართველოს რეკორდი. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. მოცურავე მარათონელს სამედიცინო დახმარებაც არ დასჭირვებია.



ღებენდა რული მელთმობჯაური და რეკორდსმენი ჯუმბერ ლეშაპა



75 წლის მსაკუში უფუფესილი სიცოცხლე

ველოსიპედით — მოგზაურობა დედამიწის გარშემო

ბატონი ჯუმბერი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც დედამიწას ველოსიპედით შემოუარა და სწორედ ამით გაითქვა სახელი ყველაზე მეტად. რეკორდების მოხსნის შემდეგ, მას ვარჯიშის გასაგრძელებლად ახალი მიზანი სჭირდებოდა და ეს მიზანიც მალევე გამოიჩნდა.

„ყველარეკორდირომდავამყარე, თითქოს მიზანი აღარ დამრჩა, არადა, გაჩერებაც არ შეიძლებოდა, დღეში 7-8 საათი მაინც უნდა მევარჯიშა, რადგან დატვირთვების უცებ შეწყვეტა გულის გაჩერებას გამოიწვევდა. თავად განსაზღვრეთ, ძალოსნები, ოლიმპიური ჩემპიონები, ვარჯიშისას დღეში 25 ტონა ტვირთს წევენ, მე კი, დღეში 600-700 ტონაზე ავდიოდი. აქტიური სპორტმენის გული, აქტიურ ფაზაში წუთში 4 ლიტრამდე სისხლს ამუშავებს, ჩემი, რეკორდების დამყარებისას 16-17 ლიტრ სისხლს ამუშავებდა წუთში. იტალიაში არის ასეთი კლუბი - “10 მილიმეტრი სიკვდილისაგან” და მისი წევრი ვარ. ვისაც დიდი დატვირთვები აქვს, მას

გულის უკანა კედელი უსქელდება და 10 მილიმეტრს რომ მიაღწევს, გული ქვავდება და ადამიანი იმ წუთასვე კვდება. სწორედ ამიტომ, დინამიურად უნდა ვივარჯიშო, თორემ ერთი დღეც თუ ჩავაგდე, პრობლემები შემექმნება. მაშინ ვარჯიშისას უფრო ვისვენებდი, ვიდრე მაგიდასთან მშვიდად მუშაობისას.

ამიტომ, რაღაც უნდა მომეფიქრებინა, რაც ნელ-ნელა ნორმალურ რიტმში ჩააყენებდა ჩემს გადაგვარებულ ორგანიზმს. 24-საათიანი რეკორდი რომ დავამყარე და თბილისში დავბრუნდი, აეროპორტში მეგობრები დამხვდნენ. უნივერსიტეტის სტუდენტმა რატი კიკაჩიიშვილმა, ერთ-ერთი მეგობრის შვილმა, ყოფილმა მორაგებმა, მითხრა - ჯუმბერი ბიძია, ძალა, გამძლეობა და გამოცდილება გაქვთ, ხომ არ შეგიძლიათ, რომ ნახვიდეთ მსოფლიოს ყველა კონტინენტის ყველა ქვეყნის გავლით ველოსიპედით? იდეა ძალიან მომეწონა. მან ისეთი ფორმულა დამინერა,

რომელსაც მარტო ამოხსნა სჭირდებოდა. შევპირდი, რომ პროექტს მე დავწერდი და ერთად წავიდოდით მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ. სამწუხაროდ, 1992 წელს რატი აფხაზეთში სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ჩემი მოგზაურობა სწორედ რატიკოს და ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს მივუძღვენი”.

ნებისმიერ მოგზაურობას თან ახლავს უამრავი ფატორაკი. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი რამ შეხვდებოდა 9 წლისა და 3 თვის განმავლობაში მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურ ლეჟავას.

„ვიეტნამში სერიოზული პრობლემები შემექმნა. ექვსჯერ დამესხნენ თავს, წართმევა უნდოდათ ფულის, ველოსიპედის. ექვსი თავდასხმა იყო ინდონეზიაშიც, მაგრამ არაფერს ვერჩი ვიეტნამელ ხალხს და ინდონეზიაც შესანიშნავი ქვეყანაა. რას მერჩოდნენ სვაზილენდში? მიცნობდნენ თუ რა?! ხელკეტებით დამესია ხუთი პოლიციელი და სულ დამამტვრიეს. კიდევ კარგი, რომ მეც შემეძლო პასუხის გაცემა და ორი რომ დავაგდე, მერე გაიქცნენ, მაგრამ მე ხომ დავზიანდი?”

ყოველ დღე ველოდი, რომ ვინმე ბოლოს მომიღებდა. ვიცი, ბევრს არ მოსწონდა ჩემი ასეთი გადანყვეტილება, ან უბრალოდ არ ეჯერათ, რომ ამ ყველაფერს შევძლებდი. აფრიკის კონტინენტზე სანამ გადავიდოდი, კახი ასათიანმა ამერიკაში შვილი გამომიგზავნა და მაჩვენა, რადგან ფიქრობდა, რომ აფრიკის გავლას ველარ შევძლებდი და რომელიმე სავანაში, ან უდაბნოში დავლევდი სულს. თუ დღიურები არ წაიკითხე, ყველაფერს ვერ გაიგებ, ყველაფერს ვერც მოვეყვები, მაგრამ ამ

დღიურების გამოცემის საშუალება ჯერ არ მომეცა. მაქვს პრეტენზია იმისა, რომ ბევრ რამეში ვარ პირველი. ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ყველა, 18-ივე უდაბნო გაიარა, ყველა სავანა, ყველა ჯუნგლი მაქვს გავლილი, გადავიარე უამრავი უღელტეხილი და მათ შორის ყველაზე მაღალი ზღვის დონიდან 4885

მაქვს პრეტენზია იმისა, რომ ბევრ რამეში ვარ პირველი.

მეტრზე იყო. 1200-ზე მეტი ღამე გავათიე ღია ცის ქვეშ, გზაზე და ყოველ წუთს ველოდი ბუნებისგან თუ ცხოველებისგან განსაცდელს.


საინტერესო და დასამახსოვრებელ მომენტს მოგიყვები! აზია რომ გავიარე, ფეხსაცმელები აღარ მქონდა და ერთმა მილიონერმა ქართველმა მიყიდა. ვიფიქრე, მეშველა, მეთქი და რომ ჩავფრინდი, გავუყევი ახალ ზელანდიაში გზას ახალი ფეხსაცმელებით. ველოსიპედით აეროპორტიდან რომ დავიძარი წვიმა წამოვიდა. უცებ ფეხში რალაც მეჩხვლიტა, მერე კიდევ უფრო მაგრად მეჩხვლიტა და გავჩერდი, შევამოწმე რა ხდებოდა და თურმე ამ ჩემს ახალ ფეხსაცმელს კარდონის ძირები ჰქონია. მიცვალებულის ფეხსაცმელები იაფი ღირდა, 3 დოლარი და ამ ქართველმა მილიონერმაც ის მიყიდა, ჩვეულებრივ ძირიანი ძვირი - 7 დოლარი დაუფდებოდა. ყოველდღიურად მხვდებოდა ისეთი სიტუაციები, რომელთა ასე მოყოლა ძალიან გამიჭირდება. 55 ტომი მაქვს დაწერილი ჩემს მოგზაურობაზე, მაგრამ ჯერ ვერცერთი ვერ გამოვეცი. ყურნალიც გამოვეუშვი, მაგრამ კებერაშვილმა ყველა რეკლამა ჩამიკეტა და მხოლოდ 4 ნომერი გამოვიდა. მათი უმეტესობა ახლაც სახლში მიდევს, ვერ გავყიდე, არავინ დამეხმარა და პირიქით ხელი შემეშალეს”.

ჯუმბერ ლეჟავა ახალგაზრდებს ნიჭის გამოვლინებაში ეხმარებოდა

„ერთ დღეს მაღალი, ლამაზი გოგონა მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ძალიან უყვარდა ცეკვა, ერთ-ერთ ანსამბლში ცეკვავდა და შეეძლო დიდხანს ცურვაც. ვურჩიე, ჯობია რალაცაში იყო პირველი, ვიდრე რიგითი მოცეკვავე და მანაც დამიჯერა. 7-8 თვე გამზადე და ახლახანს საჩვენებელი გამოსვლა ჰქონდა. მან 24 საათში 47 კილომეტრი გაცურა და საქართველოს აბსოლიტური რეკორდი დაამყარა. მანამდე ეს რეკორდი 37 კილომეტრი იყო. ახლა თბილისის ზღვაზე გავიყვანთ 50 კილომეტრის გასაცურად და მერე ჩავდგებით ლამანშის სრუტის გადაცურვის რიგში. გინესის რეკორდი 90 კილომეტრია და ვეცდებით სამომავლოდ მის გაუმჯობესებას“.

წერდა ბატონი ჯუმბერი.

რუსულან გორღუნიანი: „მესავე მსოფლიო ომის დაწყებას უფრო ვიუიქავდი, ვიდრე გაბონი ჯუმბერ ლეჟავას გარდაცვალებას. ამ ამავეა მოქმედი ჩამავლო, გაბონ ჯუმბერს ჩემს კარგადი დიდი წვლილი მიუძღვის, ამიტომ ეს პარათონი მას მივუძღვენი“.



**აპრიკელაბი
25 მილიონს
მაკლავდნენ, რათა
მათი სახელით
მეგლო, მათი
სახელით გაემოქმედა
ნიგნები, მაგრამ
უარს ვთქვი,
იმიტომ, რომ
ქართული ვარ და
ჯერ ქართულად
უნდა დაიბეჭდოს
ყველაფერი.**

დას ქართულად ჯერ უნდა

“მართალია მამა ადრეულ ასაკში გარდამეცვალა, მაგრამ მე ის მაინც ძალიან მიყვარს. სულ “მამა არ შეარცხვინოს” ძახილით გავიზარდე და ყოველთვის ვცდილობდი მისი სახელი არ შეემერცხვინა. და ახლა მინდა, რომ პირადობის მონუმობაში მისი სახელი დავიბრუნო, რომელიც წამართვეს. მსურს, რომ დავიბრუნო ჩემი ეროვნებაც, პასპორტში ეწეროს, რომ მე ქართველი ვარ. ამერიკელები 25 მილიონს მაძლევდნენ, რათა მათი სახელით მეგლო, მათი სახელით გამოემეცა ნიგნები, მაგრამ უარი ვთქვი, იმიტომ, რომ ქართველი ვარ და ჯერ ქართულად უნდა დაიბეჭდოს ყველაფერი. მერე ითარგმნოს სხვა ენებზეც, პრობლემა არაა.

კიდევ ის მსურს, რომ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ ვიყო, სხვა მხრივ სახელმწიფოს დახმარება არაფერში მჭირდება. აქამდე ამის თქმას აზრი არ ჰქონდა, რადგან მეზრძოდნენ და რომელ დახმარებაზე იყო საუბარი. წინა ხელისუფლება ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიადაზე ვამხილე, ამათში სულიერების არაფერია-თქო და იმის შემდეგ არ გამახარეს, წამართვეს სახლი და ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. დამცირებული ვარ, რადგან სტუმრები რომ ჩამოდიან, არც ბინა მაქვს და არც იმის ფული, მათ საკადრისად ვუმასპინძლო. არადა, ჩემი სტუმრები პოლიტიკოსები არიან. აგერ, სექტემბერში საფრანგეთის რამდენიმე ქალაქის მერი მესტუმრება. სახელმწიფოსგან მხოლოდ იმას მოვითხოვ, რაც მეკუთვნის, მხოლოდ ეს დამიბრუნონ. ცოტა ხანს მოვიციდი და ფორმაში რომ შევა დღევანდელი ხელისუფლება, ჩემს პროგრამებს დავუდებ და მწამს, მათი ამოქმედება საქართველოს ახალგაზრდობას, მათ გააფანსალებას გამოადგება”.

მასალა მოამზადა
ნიკო დალიანაძე



იპოლიტე იწუებოდა ასე...

ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მსოფლიო კლასის კომიკოსი, იპოლიტე ხვიჩია 1910 წლის 31 დეკემბერს არა მარტო ყვინჩიების, არამედ სრულიად საქართველოს და საბჭოთა კინოს შეუდარებელი საჩუქარი იყო.

ხონის რაიონის პატარა სოფელი კონტუათი. ახალი წელი მოდის, თოვს, ყინვა ძვალბილში ატანს. სანიმუშო გლეხკაცის ყვინჩიას მრავალრიცხოვანი ოჯახი თოფის სროლით, თითქოს ნაადრევად შეხვდა ახალ წელს — ბატონ ალექსანდრე (იონა) და ქალბატონ პისტის მეექვსე შვილი შეეძინათ, რომელსაც რატომღაც მითიური სახელი, იპოლიტე დაარქვეს.

ოჯახი ხარობდა, ზეიმობდა, შვილების ბედნიერებით. მშობლები მეცხრე ცაზე იყვნენ, მაგრამ ფათერაკმა ყვინჩიებს განსაცდელი მოუვლინა, სახლი დაენვათ და მრავალშვილიანმა ოჯახმა თავი ნალიას შეაფარა. იპოლიტე, კუშიე, როგორც მას ბავშვობაში ეძახდნენ მაშინ პატარა იყო.

მშობლებს, ალექსანდრე (იონას) და პისტის დიდი საზრუნავი ჰქონდათ - ექვსი შვილი უნდა გამოეყვებათ და აღეზარდათ. საღამოობით შუაღამოს შიშვენიერად იმყოფებოდნენ: საშა (ალექსანდრე), ევგენია (ყენია), ლუბა, კაკო, სერგო (სირიო) და იპოლიტე (კუშიე), რომელთაც დედა წიგნებს უკითხავდა და ართობდა. და-ძმებში განსაკუთრებით გამოჩნეული იყო უფროსი

ძმა, წიგნის მოყვარე საშა, რომელსაც ყველაფერში ბაძავდა პატარა კუშიე, შეიპარებოდა "ქუხნაში" (სამზადში), დადგებოდა ძველისძველი სარკის წინ და იმეორებდა საშას მოძრაობებს.

ბავშვები სოფელ ნახახულების სკოლაში სწავლობდნენ, სადაც იპოლიტეს უფროსმა ძმებმა,

წოგონ გახდეს კუშიე ყვინჩიის იწოლიტე ხვიჩიის

აკაკიმ და საშამ, დრამატული წრე შექმნეს. სკოლაში კლასებს ხის ტიხრები ყოფდათ, მოხსნიდნენ ტიხრებს და სცენაც მზად იყო, მაგრამ კუშიეს (იპოლიტეს) პირველმა გატაცებამ თითქოს მალე გადაუარა და 14 წლისამ თბილისში, სამრეწველო ეკონომიკურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იპოლიტე მუშაობდა ხაშურის რაიონის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში ინსტრუქტორად, შემდეგ - ხარაგაულის რაიონის სოფელ ძირულას აგურის ქარხანაში მგეგმავე ეკონომისტის თანამდებობაზე,

მერე ხე-ტყეს ჭრიდა ხაიშში, ლახამუშაში, ჭუბერში და აცურებდა ენგურზე, მაგრამ აქაც დიდხანს არ გაჩერებულა, რადგან არცერთი ეს საქმე არ იყო დაუდგრომელი ყმანვილის ჭეშმარიტი გატაცება (მუშაობდა სოხუმშიც - მეთულუხჩედ და პურის მცხოვრებელიც კი).

ამასობაში საშა ყვინჩიას ხონის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი ჩამოეყალიბებინა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი გამხდარიყო. იგი "ვარდელის" ფსევდონიმით მოღვაწეობდა და ორ პიესაზე მუშაობდა: "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" და "ჩათრევას ჩაყოლა სჯობია."

1929 წლის 20 სექტემბერს ამ ორი ნარმოდგენით გაიხსნა ხონის რაიონული თეატრი, პირველი სეზონი. საშამ კუშიეც მიიწვია თეატრში და აი, 1932 წლის 10 სექტემბერს შეშინებული და მღელვარე იპოლიტე ხვიჩია პირველად წარდგა მაყურებლის წინაშე.

22 წლის ჭაბუკი ძნელ და საინტერესო აღმართს შეუყვია.

იპოლიტე მთელი მონდომებით მუშაობდა, წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ ძმას არწმუნებდა - "მე, ტრაგედიისთვის დაბადებული კაცი, კომედიამ ვიღუპებიო". ის კი არადა, დედაც კი მიუგზავნა საშა-რეჟისორს, - "დამეხსნას თავისი კომედიური როლებითო"...

ხონის თეატრში იპოლიტემ დასამახსოვრებელი სახეები შექმნა: **ბახვა ფულავა** ("სამი სიცოცხლე"), **კინტო ვანუა** ("ქრისტიანე"), **ბორისი** ("ჟანგი"), **ყვარყვარე**, ("ყვარყვარე თუთაბერი") აღმასხანი ("ნაგანი"). **ნეოფიტე** ("ნეოფიტე მთქნარია") და სხვა.

1936 წელს იპოლიტე სამუშაოდ გადავიდა ტყიბულში, მემხატეთა ცენტრალურ კლუბში, გამგედ და სამხატვრო ხელმძღვანელად. სადაც ორი წლის განმავლობაში ხან მსახიობად და ხან რეჟისორად ევლინებოდა მაყურებელს.

იმ დროს ქუთაისის თეატრში დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მისულმა დოდო ანთაძემ, რომელიც დასს ახალი მსახიობებით აკომპლექტებდა, იპოლიტეც მიიწვია. მათი მოლაპარაკების დროს დიალოგი მცირეოდენი იუმორითაც წარმართა:

- მობრძანდი, დაბრძანდი, წარმომიდექი...

- ახლა არ ვიდექი და დაჯექიო? - მე იპოლიტე ვარ ყვინჩია...

- ააა... ყვინჩია, არა? მერე? შეცვალათ "ყ" "ხ"-თი, რა მოხდება, ამით, დაშავდება რამე ვითომ?

- არც არაფერი, ერთი ოხერია ორივე!

ასე გახდა კუშიე ყვინჩია იპოლიტე ხვიჩია. ზემოთ მოყვანილი დიალოგის შემდეგ იოლი მისახვედრია, რა ჟანრის როლებში დააკავებდა დოდო ანთაძე იპოლიტეს. მისი ჯვებე ქილორდავას, კობტაიას,

ქუჩარას, ნაცარქექიას, ტიტკოს, ბურდლუ ტაბალუას, ტრუფალდინოს და სხვების დანახვ-აზე ქუთაისელ მაყურებელს წლების მანძილზე მუცელზე კანი არ შერჩა. ის კი მაინც იხვეწებოდა:

- რა დაგემართათ, ერთი ტრაგიკული როლი რა გაგიხდათ ჩემთვისო. (ბატონ იპოლიტეს ეს ნატვრა ერთხელ კინალამ რეალობად ექცა კინოში, მაგრამ მაშინ ამ როლს სხვა გენიალური შემსრულებელი გამოუჩნდა.) როგორც არ უნდა ეფიქრა იპოლიტეს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე, იგი მაინც შეუდარებელი კომიკოსი იყო. სცენაზე მის ყოველ გამოჩენას, ჯერ ღიმილი შემდეგ კი თავშეუკავებელ ხარხარი მოსდევდა მაყურებლისა. იპოლიტესათვის დამახასიათებელი განუმეორებელი იმპროვიზაციის უნარი კი ხშირად მრავალ კურიოზად ქცეულა სცენაზე თუ მის მიღმა.

ქუთაისში "ყვარყვარე თუთაბერი" ყოველთვის ანშლავით მიდიოდა. ამ პიესის მთავარი გმირის შემსრულებელი კაპიტონ აბესაძე მუდამ თვით-დაჯერებული იყო იმაში, რომ სცენაზე ვერანაირი მოულოდნელობა და კურიოზი ვერ გამოიყვანდა მდგომარეობიდან. მაგრამ არსებობდა ისეთი კურიოზიც, რომელსაც "იპოლიტე" ერქვა და კაპიტონის წარმოსახვაში ვერ თავსდებოდა.



იმ დროს, როცა ყვარყვარე თავის კაბინეტში შესული ჩამოძონძილი, ჩამოკონკილი, ფეხსაცმელმოზრეცილი, ქუდჩამოფხატული წვინტილიანების, ყაყუტას, ქუჩარას და ლირსას ჩაყრას ბრძანებს ციხეში, პიესის მიხედვით გათვალისწინებულია, რომ ისინი ბადრავს უნდა გაჰყვინენ, მაგრამ ქუჩარამ (იპოლიტემ) ასე გააგრძელა როლი:

დასტაცა ტელეფონის ყურმილს ხელი და უკულმა ჩასძახა:

რევეკომო, ალო, რევეკომო! რევეკომო, მოგვხედე, გვიშველე, ბატონო, არავინაა, მოგვხედოს ამ უპატრონოებს?

ტელეფონის ყურმილის უკულმა მომარჯვება და ეს "რევეკომო!" ისეთი მოულოდნელი იყო ყვარყვარეს როლის შემსრულებლისთვის, რომ მას (კაპიტონ აბესაძეს) ენა ველარ მოაბრუნდა და სიცილი აუვარდა.

ამის შემხედვარე ქუჩარამ (იპოლიტემ) როლი ასე გააგრძელა:

"აბა! რავა გეგონა შენ, რეველუცია მარტო შენთვისაა, შენ გგონია, შენს მეტი, არავინ გვიპატრონებდა?"

კულისებში დოდო ანთაძემაც ვერ შეიკავა თავი სიცილისაგან, გონს რომ მოეგო, "ფარდაო" დაიძახა. მაგრამ სპექტაკლის შემდეგ კრიტიკამ იპოლიტეს ეს იმპროვიზაცია არ მოუწონა.

იპოლიტემ თავის მოღვაწეობაში ერთხელ კიდევ



მიიღო საყვედური, ოღონდ ამჯერად თეატრის ხელმძღვანელობისაგან, მაგრამ ეს საყვედური, იმპროვიზაციისთვის კი არა, კაცური პრინციპების გამო შეხვდა:

მაშინ საქართველო თავის საყვარელ მსახიობს, გიორგი შავგულიძეს გლოვობდა. ამ დროს ქუთაისის თეატრში განაწილებული იყო პოლიკარპე კაკაპაძის "კოლმეურნის ქორწინების" როლები. ხარიტონის როლზე იპოლიტე ხვიჩია გახლდათ დანიშნული და რეპეტიციებიც უკვე დაწყებული იყო. თეატრი დედაქალაქში საგასტროლოდ ემზადებოდა და მისმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა აკაკი ვასაძემ "კოლმეურნის ქორწინება" საგასტროლო რეპერტუარში შეიტანა.

იპოლიტე ხვიჩიამ იმდენად განიცადა გიორგი შავგულიძის გარდაცვალება, რომ სპექტაკლზე არ მივიდა - "ჟორას შემდეგ ამ როლს ვეღარ ვითამაშებო" - თქვა.

აკაკი ვასაძემ იპოლიტეს უარი არ მიიღო და ოფიციალური საყვედურიც კი გამოუცხადა მას...

ქუთაისის თეატრში გაღრმავდა და გაფართოვდა იპოლიტე ხვიჩიას ნიჭი და ტალანტი, აქ მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა და სახალხო არტისტის წოდებები. მაგრამ, ბუნებრივია, თბილისი ქუთაისს მთლიანად ვერ დაუთმობდა იპოლიტეს.

1961 წელს კინოსტუდია „ქართულ ფილმის“ მიწვევით იპოლიტე სამუშაოდ რუსთაველის თეატრში და „ქართულ ფილმში“ გადავიდა და ოჯახითურთ დედაქალაქში დაფუძნდა, მაგრამ ქუთათურებისათვის არასდროს უღალატია, ის ბოლომდე დარჩა ქუთათური! აღიარება, პატივისცემა, სიყვარული, გულწრფელი ტაში, ჯანსაღი სიცილი გადმოჰყვა იპოლიტეს ქუთაისიდან დედაქალაქში.

რუსთაველის თეატრი დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვდა თბილისში ჩამოსულ იპოლიტეს. მას ასეთი მისალმება დაახვედრეს:

"სერგო ძვიროვანო იპოლიტე!

ყვითელი იყოს თქვინი მოზრძნება რუსთაველის

თეატრში! ვისურვებთ წ'წრმაცვებს რას მრავალ შემოქმედებით სიხარულოს. რუსთაველის თეატრი კონკრეტულად სჯობს თქვენს ნიჭს რას ცოცხალცილი ცოცხლ ამის რადსაცურებთ. იყავით მხნეო, როგორც თქვენ მშობლიოურ ოჯახში, იყავით ბედნიერი რას ცოცხლცილი."

რუსთაველის თეატრის ყოლოქცილი.

რუსთაველის თეატრში იპოლიტემ რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი შემატა თავის სცენურ სახეთა გალერეას: ტრიფონი („მეტეხის ჩრდილში“) და სპირიდონი („უკანასკნელი მასკარადი“) და ა.შ.

1966 წლის 13 აპრილს კი „უკანასკნელი მასკარადი“ უკანასკნელი სპექტაკლი აღმოჩნდა იპოლიტესათვის, იგი მთლიანად მიეჯახვა კინოსა და ტელევიზიას. მაგრამ უმთავრეს მიზნად მაინც თეატრში დაბრუნება მიაჩნდა.

ციფრი 13 რას მინი შეზრუნებულო 31 წაწრლოური იყო მსახიობისთვის.

31-ში რასიხრას.

31-ში გარდაცვლას.

13 "იპოლიტე" შეწრლოო ყინოში.

იპოლიტე ამ ციფრს, 13-ს ვსრ გამოთქვამრას: "რყოინს ჰყოლს ერთი."

ერთ-ერთ ინტერვიუში (კორესპ. ვ. ჟღენტი "ახალგაზრდა კომუნისტი," 1979 წ 11 დეკემბერი) იპოლიტე ეკითხება კორესპონდენტს:

- რამდენი შეკითხვა გამოგვივიდა?

- თერთმეტი.

- თუ შეიძლება, კიდევ ორი შეკითხვა რომ დავუმატოთ? ცამეტი ჩემი ციფრია. კარგად მაქვს დაცდილი: ოჯახში 13 სული ვიყავით: დედა, მამა და 11 შვილი. ქუთაისში ლერმონტოვის 13-ში ვცხოვრობდი, ქუთაისიდან თბილისში წითელი პარტიზანების (დღეს იპოლიტე ხვიჩიას სახელობის) 13 სახლში გადმოვედი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებაც 1953 წლის 13 ივნისს მივიღე; სასტუმროში ყოველთვის 13 ნომერი მხვდება; სახალხო არტისტის წოდებაც 1960 წლის 13 ივლისს მივიღე; ახალი ბინა სევასტოპოლზე - 13 ივნისს და ა.შ.

„ფეოლას“ გადაღება ბათუმში მიმდინარეობდა. ამ დროს სესილია თაყაიშვილიც ოჯახთან ერთად ისვენებდა იქ.

გადაღებიდან ზღვისკენ მიმავალ იპოლიტეს ქუჩაში უკვე მზით ნასიამოვნები სესილია შეხვდა.

- აუ, სესილია, გამომასწარი?

- რა გინდა, ბიჭო, რა?

- რა და, შენი ნახვა მინდოდა საბანაო კოსტუმში.

- უჰ, მეხი კი დაგაყარე. ა, და შემხედე! - სესილიამ გაიხსნა ხალათი და საბანაო კოსტუმში მოეჩვენა იპოლიტეს.

- დიდუუ! ყვავს დაახვავლებს...

- დამეკარგე აქედან...

როგორც ითქვა, სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონ იპოლიტეს, ავადმყოფობის გამო, სახლიდან გასვლა უჭირდა, ამიტომ უმეტესად სულისმოსათქმელად აივანზე იჯდა ხოლმე, საიდანაც ხან ეზოში მიმდინარე ბიჭების ფეხბურთს მსაჯობდა, ხან კი ვილაცას ემასლაათებოდა მაღლიდან.

ერთხელ ეზოში რაღაცის მშენებლობა წამოიწყეს და იპოლიტემ, რა თქმა უნდა, ზვიდან ყველა მშენებელი გაიცნო...

იმ დღეს იპოლიტე, ჩვეულებისამებრ აივანზე დაჯდა, ხელში კი შალითაში გახვეულ ჩვილს ანანავებდა და უმღეროდა. უეცრად, თითქოს ვილაცამ უკბინაო, მუშებს დაჰკვივლა:

- მოდით, მიშველთ, ხალხი არა ხართ?! აღარ შემოძლია ამის ამდენხანს ფერება და ანი თქვენ დაიჭირეთო. - ეს თქვა და შალითებში გახვეული ჩვილი მეოთხე სართულიდან გადააგდო.

მუშები თავპირისმტვრევით გამოცვივდნენ ბავშვის გადასარჩენად, მაგრამ ხელი შეახეს თუ არა, „ბავშვი“ შალითებიდან „ამოძვრა“ და იქვე დაიწყო ხტუნვა.

ატყდა ერთი სიცოცხლ-ხარხარი და სიმწრის ოფლის წმენდა...

იპოლიტემ ხუთლიტრიანი, ღვინით სავსე ტიკი გადაუგდო მუშებს.

ერთხელ იპოლიტე ცოლს ახლობლის პანაშვიდზე გაჰყვა. ოთახში რომ შევიდა, მიმსვლელი თუ ჭირისუფალი მისკენ შებრუნდა და ყველამ ჩუმი სიცოცხლე დაიწყო. იპოლიტემ წონასწორობა შეინარჩუნა, ჭირისუფალს მიუსამძიმრა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. ამის შემდეგ ქალბატონი ლუბა იპოლიტესთან ერთად პანაშვიდზე წასვლას ყოველთვის არიდებდა თავს.

სხენებული უხერხული სიტუაციებით განამებულმა იპოლიტემ ერთხელ თხოვნითაც კი მიმართა ახლობლებს:

- თქვენი ჭირიმე, თუ ჩემ დაკრძალვაზე მოხვდებით, შეახსენეთ ჩვენებს, სურათი წინ არ გაიტანონ.

- რატომ, ბატონო იპოლიტე?

- ხალხი სურათის დანახვაზე გაიცინებს, მე კი მინდა, ამ ერთხელ მაინც მომეგებონ ცრემლით.

ამ ერთხელ მაინცო...

ბატონი იპოლიტეს ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდა...

1985 წლის 7 თებერვალს, როცა ქარი ტოტებს ალენავდა ხეებს, ქუჩაში მიმავალ სამგლოვიარო პროცესიაში იპოლიტეს სურათზე აღბეჭდილი ღიმი-

ლიანი სახის დანახვაზე ყველა მწარედ ტიროდა. ხალხი დასტიროდა არა მარტო იპოლიტეს, არამედ საკუთარ თავსა თუ ოჯახში გაქცევებულ სიხარულს...

შეხატაკილავული ცოლ-ქმარი

1910 წლის 31 დეკემბერს, საშინელ თოვასა და ყინვაში, იმ დროს, როცა წუთი-წუთზე ახალი წელი უნდა შემობრძანებულიყო, ხონთან ახლოს, სულ რაღაც სამ კილომეტრში, სოფელ კონტუათში, ალექსანდრე ყვინჩიას სახლში გაჩნდა მეექვსე შვილი, ვაჟი - ქართული თეატრისა და კინოს მომავალი კომიკოსი იპოლიტე ყვინჩია. გავა დრო და მისი გვარი ჟღერადობას შეიცვლის. ხონის, მერე კი ტყიბულის თეატრის შემდეგ იპოლიტე ქუთაისში მიდის. ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში დოლო ანთაძე დახვდება. მას უკვე გაგონილი აქვს იპოლიტეს ნიჭის შესახებ და ინტერესით ელოდება ახალ მსახიობს.

- მე იპოლიტე ვარ, ყვინჩია! - ნარუდგა რეჟისორს იპოლიტე.

- ააა, ყვინჩია, არა? ყურს ცუდად ხვდება "ყ" და რა მოხდება, "ხ"-თი რომ შეცვალათ, - შესთავაზა ანთაძემ.

- არც არაფერი, - მიუგო მსახიობმა, - ორივე ერთი ოხერია.

ასე გახდა ყვინჩია ხვიჩია და სულ მალე ქუთაისის თეატრის სალაროსთან რიგები დადგა იმ სპექტაკლებზე დასასწრებად, რომელშიც ის თამაშობდა.

მ ა ს
თ ა ვ ა დ

ყველა უბადლო კომიკოსს უწოდებდა, იპოლიტე კი ამბობდა: მე, ტრაგედიისთვის დაბადებული კაცი, კომედიაში ვიღუპებო. არადა, ყველა აღიარებდა, რომ ის უდიდესი კომიკოსი და სიცოცხლის დიდოსტატი იყო.

კანის კინოფესტივალზე, როცა "ბურთი და მოედანი" აჩვენეს, რეზო ჩხეიძის გვერდით მჯდარა დიდი ჟან გაბენი. რამდენიმე წუთის შემდეგ აღფრთოვანებულმა გაბენმა ჩხეიძეს გადაულაპარაკა, ეს რა გენიოსი გყოლიათო.

ის მართლაც გენიოსი იყო, რომელსაც შეეძლო მაყურებლის ჰომერული ხარხარი გამოეწვია.

მისი განუყოფელი ნაწილი, იპოლიტეს მეორე ნახევარი მსახიობი ლუბა ქარქაშაძე (მერჯანიძე) გახლდათ. მათ ერთმანეთი ქუთაისის



თეატრში გაიცნეს. ლუბას მაშინ ქმარიც ჰყავდა და ქალიშვილიც, მაგრამ მათ შორის ისეთი გრძობა გაჩნდა, რომელიც ადამიანს მოვალეობის ჩარჩოსგან ათავისუფლებს... ლუბა და იპოლიტე შეუღლდნენ. იპოლიტემ ისე შეიყვარა ლუბას შვილი, ნუნუ, როგორც საკუთარი. ლუბამ სამსახიობო კარიერას თავი დაანება და იპოლიტეს მიუძღვნა მთელი სიცოცხლე. ისინი ყველგან ერთად იყვნენ. დედისერთა ნუნუმ ხუთი შვილი გააჩინა. იპოლიტეს მათზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ყოველი ფილმის გადაღებისას მთელი ოჯახი სრული შემადგენლობით თან ახლდა იპოლიტეს. ლეგენდები გაჩნდა ამ ცოლ-ქმრის სიყვარულზე. ბაკაბუკით იცოდა სიარული ხვიჩიამ, რის გამოც ლუბა სიყვარულით ბაკუნას ეძახდა, ცოლს კი იპოლიტემ "ხაჭაპუროვნა" შეარქვა. მართლაც უგემრიელეს ხაჭაპურებს აცხობდა ლუბა და მისი დიასახლისობით ყველგან ამაყოფა მსახიობი.

ერთხელ, როცა დასრულდა ფილმის "არ დაიდარდო" გადაღება, იპოლიტემ მთელი გადამღები ჯგუფი დაპატიჟა. მართალია, ეროსი იქ არ თამაშობდა, მაგრამ იპოლიტეს ისე უყვარდა, მის გარეშე სუფრას არ შლიდა... და აი, ლხინი ზენიტშია, სტუმრებმა ლამის ჭერი ახადონ სიმღერით, ლექსითა და ცეკვით და ამ დროს ეროსი მრავალმნიშვნელოვნად აცხადებს: "რა არის, იპოლიტე, ამისთვის დაგვპატიჟე?" - და ღიმილით გადახედავს სუფრას. იპოლიტე უმაღ ბრძანებას გასცემს: "ხაჭაპუროვნა, დაამატე ახალი კერძი, აბა, ჰე, არ შევრცხვეთ სტუმრებთან". ლუბასაც მოაქვს ნაირ-ნაირი კერძი. ეროსი ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოთქვამს "უკმაყოფილებას": "სულ ესაა, იპოლიტე?" კვლავ ჭეჭავს ხვიჩია: "აბა, ხაჭაპუროვნა, მწვადი შემოიტანე"... და როცა მესამედ თქვა ეროსმა, ამით ვერ გამაკვირვებო, გამწარებულმა იპოლიტემ იყვირა: "ცოლო, დაკალი სიდედრი". რახან სიდედრი ვახსენეთ, აქვე უნდა გიამბოთ ერთი ეპიზოდიც... სწორედ იმ გახმაურებულ "ბურთსა და მოედანს" იღებდნენ, მაგრამ ისეთი ტრუსი ვერ ნახეს, რომელიც მთავარი გმირისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა. რაღაც ისეთი უნდა ყოფილიყო, თვალში საცემი და სასაცილო... გადაღებიდან შინ დაბრუნებულ იპოლიტეს თვალში მოხვდა მათ აივანზე ბაირალივით გადმოფენილი სიდედრის გრძელი შავი ნიფხავი. ამაზე სასაცილო და განსხვავებული სადღა უნდა მოეძებნა?

ბევრი აღარ უფიქრია, ჩამოხსნა და დასაძინებლად წავიდა. მეორე დღეს ვერიჩკამ თავისი ნიფხავი რომ ვერ ნახა, ქვეყანა შეძრა, ყველა მეზობელს შეეკითხა, ძირს დაგდებული ხომ არ გინახავთო. ყველა მხრებს იჩქრდა. ერთი კვირის შემდეგ გადაღებები გაგრძელდა. იპოლიტე შინ გვიან ბრუნდებოდა, თან ძალიან დაღლილი. ოჯახი რომ არ შეენუხებინა, აივანზე წვებოდა ხოლმე. ერთხელ, როცა ვერიჩკამ მანვნისა და რძის საყიდლად დააპირა წასვლა და დილაადრიანად ადგა, აივანზე ჩაძინებულ იპოლიტეს მოჰკრა თვალი.

- დიდუუ, ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები! - აკივლდა ვერიჩკა.

- ქალო, გაჩუმდი, რა მოხდა ასეთი? - ამშვიდებს იპოლიტე.


- რავა რა მოხდა? სად იყო, ბიჭო, მაი ტრუსიკი?

- კაი ახლა, ვერიჩკა, - ეხვეწება იპოლიტე, - რომ ჩავიცვი, ამით რა დაშავდა? შენს ჩაცმულს ვერავინ ნახავდა და ანი ეს ნიფხავი მსოფლიოს მოიარს, აბა!

ერთ-ერთი ფილმის გადაღებაზე (გადაღება რუსეთში მიმდინარეობდა) დროულად ჩასვლა ვერ მოახერხა "ხაჭაპუროვნამ", მსახიობებმა გადანყვიტეს, გახუმრებოდნენ მოყვარულ ცოლ-ქმარს. ქალბატონმა მეგი ნულუკიძემ ლუბას ტელეფონით "გაანდო": დროზე ჩამოდი, თორემ ქმარს წაგართმევენ რუსი ქალები, მის კოტეჯთან მუდმივად კიბეა მიდგმულიო. გადაირია ლუბა. დათქმულ დროზე ადრე აიღო ბილეთი და სასწრაფოდ გაემგზავრა "დანიშნულების ადგილას". უკვე დაღამებული იყო, იპოლიტეს ეძინა, ლუბას სხვები დახვდნენ, მიიყვანეს მის კოტეჯთან და დაანახვეს ფანჯარასთან მიდგმული კიბე. თითქოს ეს არ კმაროდაო, რამდენიმე წუთში გამოჩნდა ვიღაც ქალი, თავშალმობვეული, რომელიც ფრთხილად ჩამოდიოდა კიბეზე, თან აქეთ-იქით იცქირებოდა. - უიმეო, - ერთი კი შესძახა ლუბამ და ქალისკენ გაიწია, სულ "ბესსოვესტნაია და გულიაშჩაია ბაბა" ეძახა იმ უცნობს, რომელიც სახეს მალავდა. ლუბას უცებ გული გაუხდა ცუდად და იქვე ჩაიკეცა. მსახიობები ღიმილს ძლივს იკავებდნენ, მაგრამ კომიკური სიტუაციის ასეთ დასასრულს არავინ ელოდა და ძალიან შეწუხდნენ, იმ "რუსმა ქალმაც" გადაიძრო თავშალი. ის ჩვენი ახალგაზრდა მსახიობი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელსაც ინსცენირებისათვის კაბა ჰქონდა გადაცმული. ხმაურზე იპოლიტესაც გაეღვიძა და გულშენუხებული "ხაჭაპუროვნა" რომ დაინახა, ლამის გაგიჟდა, უსაყვედურა იქ მყოფთ, სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ გასართობადო? ამას რომ რამე მოსვლოდა, დაგხოცავდით ყველასო.

ასე უყვარდათ ერთმანეთი სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ვინც მათ იცნობდა, ყველა აღიარებდა, რომ მსგავსი შეხმატკბილებული და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი არ არსებობდა დედამინის ზურგზე.

მასალა მოამზადა
ნინო რახვიაშვილმა



ედემ იზორია

დიდამშავივილარეფი

სკუაღეფი ვაიჩქუნა სოლე მულ,
დობშულადექ, შური ონდეთ ინმაქანც,
მუთ ქიბსანდი ნორცხვა-ფაფაღც დოუფულ,
იფაბრკალუქ, სიაფარ ვემშამ ტანც;

ცაშდაღწიც ღურუ ურცხას კეჭვიტანც,
ზღვამ შხილინ ღურამ ბირას იკაფურ,
მუკალ ალი ედილატირ მუნაფას,
ახავაი, ცა მაჭეორც ვარ ცა მანგარც;

არეებულ დუდი მაჭუ, კვა ტეკანც,
წიც მიღმებდვა წუმოუინილ ბირცხამ წვანც,
ცა დოუფორ ეციმილი ფურცელეფიც,
ოლაფარეს უხა ღურუ გეურანც;

ჩქიმ რკიალი გინმადვალუ მურიცხეფც:
სკუაღეფი აკა წუნი გეკურცხით,
კორცხილო ხვათახვალე აკა წუნც
თოღ დომწკურმთ თებული დო ბურანცხილც;

ღვაში ზისცირ ბირცხამ წვანდეფც გაჭვანანც
დო რჩხვიალით დუღმა ხელეფც მითმიმწანქ:
სკუაღეფი, სო იჯინეთ, სო ინჭანთ,
თენა მიჭირც: ოხჯღორეთ თოღც სო განჯანთ

- თქუ დიდაქ დო ვაცანცალუ მურიცხეფც:
ვავა, დიდას მუში სკუა ღალატენც;
ვავა, დიდას მუში კათა ღალატენც;
ვავა, დიდას შურცუ მურე ალატენც...

დიდამ ცოდაქ ქაგინაფუ როკ ტანჯას,
ივარ სომღა ფურცელქ სოლო დიბურიცხ...
ბჟა მურიცხიქ - რჩქინელქ დიდამ სითინჯათ
შარა ვარე დიადისა ვაპანჯას...

ედემ იზორია

ვაღერიან (სულიკო) როგავა



ეს არის მხოლოდ საქართველოში

ღმერთის წყალობით ბევრი მინახავს
მრავალი ქვეყნის ვიეავ სტუმარი,
მნიბლავდა მათი ცეკვა - სიმღერა,
კლასიკური თუ იყო ხალხური.

მაგრამ ისეთი რაც ჩვენთანაა,
არსად მინახავს და არც მსმენია:
„მრავალქამიერ!“, „დიდოუ ნანა!“,
„შინა ვორგილი!“ და „განდაგანა!“

ჩვენი ვალაია: - ფშავ-ხევსურეთში,
ქართლში, კახეთში თუ აფხაზეთში,
თვალის ჩინივით რომ მოუაროთ,
უფლის ნახუქარს საქართველოში!

ვაღერიან (სულიკო) როგავა
*სპორტის ოსტატი, დამსახურებული
მწვრთნელი, საერთოშორისო
კატეგორიის მსაჯი თანამედროვე
ხუთჭიღში, საქართველოს და რუსეთის
ოლიმპიური კომიტეტების საპატიო
ნიშნის კავალერი, საპატიო დინამოელი,
თადარიგის პოლკოვნიკი.
ქ.მოსკოვი. 26.05.2014*



ფოტოთი ქართული ფეხბურთის ეკვანთა

ფოთის პორტის მშენებლობა 1863 წელს დაიწყო, ამ წელს კი ინგლისში ფეხბურთი მოიგონეს და ალბათ სიმბოლურად იყო, რომ ფეხბურთი საქართველოში ფოთის პორტიდან შემოვიდა.

*საქართველოდან მარგანეცის გატანა 1879 წელს დაიწყო და ქართული ფეხბურთის დაბადების სავარაუდო თარიღადაც სწორედ ეს წელი უნდა მივიჩნიოთ, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რომელი გემი მოადგა პირველად ფოთის პორტს და ვინ გაჰყარა ბურთს პირველად ფეხი. ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, **მოთარ ბაგუას** ასე აქვს ეს სავარაუდო ეპიზოდი აღწერილი:*

მოდით, ასეთი სცენა წარმოვიდგინოთ: ფოთის ნავსადგურში ინგლისური გემი დგას. დგომა კი დიდხანს მოუწევს — არავინ იცის, რამდენ დღეს გაგრძელდება მარგანეცის ჩატვირთვა. ჰოდა ეს მეზღაურებიც დროის მოსაკლავად უახლოეს მდელაზე ბურთს აგორებენ, რაც ადგილობრივი ბიჭების ყურადღებას იპყრობს. თამაში, რომელსაც ისინი თამაშობენ, ფოთელებს არასოდეს უნახავთ. თანდათან, ამ ცქერა-ყურებაში თამაშის არსიც გაიგეს: ორ ჯგუფად გაყოფილნი ცდილობდნენ ქვების გროვით მდელის ბოლოში მინიშნულ მიზანში, ერთი კაცი რომ იცავდა, ბურთი გაეტანათ. ეს ახლა ადვილი გასაგები „ბურთი“, თორემ მაშინ ეს ტყავის სფერო, რომელშიც კაცმა არ იცის როგორ იტუმბებოდა ჰაერი, უცნაურ ასოციაციებს იწვევდა, რადგან არაფრით შეესიტყვისებოდა და იგივე დასახელების საგანს, რომლითაც ქართველები „ლელოს“ თამაშობდნენ...

აი, როგორ იგონებს ერთ-ერთ პირველ მატჩს ფოთელი ვეტერანი ფეხბურთელი გრიგოლ ხორავა:

— იმ დღეს ერთმანეთს გემბანისა და სამანქანო განყოფილების გუნდები ეჯიბრებოდნენ. პირველს გემის კაპიტანი მეთაურობდა, მეორეს უფროსი მექანიკოსი. თამაში ხშირად წყდებოდა, ფეხბურთელები კამათობდნენ. სამანქანო განყოფილებამ გაიმარჯვა. გაბრაზებულმა კაპიტანმა უფროსი მექანიკოსი... კრივში გამოიწვია და მუშტის ძლიერი დარტყმით ძირს დასცა. ჩვენ გვეგონა ჩხუბსა და აყალმაცალს ასტეხდნენ, მაგრამ მათ ვაჟკაცურად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და ვითომც აქ არაფერიო, ერთად გაემურნენ გემზე...

ფოთელების თამაში მოწონათ და 1906 წელს ქალაქში პირველი ფეხბურთის გუნდიც შექმნა ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა გიორგიმ. ორ წელიწადში მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ოფიციალური გუნდი. ყოფილი ფეხბურთელის, ინგლისური მარგანეცის კონცესის წარმომადგენლის ოსკარ ზივერტის ხელმძღვანელობით. იგი გუნდსაც მფარველობდა და თანაც კაპიტანი იყო.

თავიდან ფოთელები ხშირად აგებდნენ, მერე და მერე კი მოგებებსაც გაუშინაურდნენ. აი, ქართული ფეხბურთის „პირველი მერცხლები“: **ალექსანდრა კაჭარავა, ვიქტორ ყურუა, ვინანსაზ მოხანსკი, ვანიჩა დიღია, ვლადიმერ ბაიჭაქი, რუბინ ალხაზოვი, შურა ქავთარაქი, ვანიჩა კვაჭაქი და სხვები, მათ შორის ორი იტალიელი — გლაჯო და ლუიჯი.**

მაღე ოსკარ ზივერტმა მუხლის ტრავმა მიიღო და მწვრთნელობას დაჰყაბულდა, კაპიტანი კი მისი შვილი ედუარდი გახდა. ახლა ფოთელები ხშირად ამარცხებდნენ ინგლისელებს — მოგებულს ნაგებულის ფორმა რჩებოდა ჯილდოდ. გუნდს დაემატნენ **ბრიგოლ სორავა, მკარა შალიკო დარჩია, შალვა ბაიჭაქი, გოგი გოგინავა, იონა ყურუა, ბრიგოლ ლომობერიქი, ვალდია ცომაია, ეფრემ ლაითაქი, პატი ლუკიანოვი, ლადო ბაგუნია.**

1922 წელს მათ ვანო მიქაძე დაემატათ სოხუმიდან. გუნდს, რომელსაც „უნიტა“ დაერქვა, კოლია გოგინავა კაპიტნობდა. მერე და მერე გამოჩნდნენ „ურანი“, „რემედასი“, ფოთის I და II გუნდები. **„ურანში“ ედუარდ ნიკოლაიშვილი, ცაგუ ჭითანავა, მიხა**

ანთაქა, აკაკი ჟღენტი, ვალოდია შუხლაქა, მიხა ზემლიცკი, ვასიკო შუხლაქა, საშა ალიმონაკი, გიგა ლეჟავა, ბრიშა იმნაქა, ანდრო გაგუნი, ვალია პაიჭაქა თამაშოვანე. II გუნდის შამადგანლოზა ასეთი იყო: ღუშა ვეკუა, მიტრო ასათიანი („მპარატელას“ ოსტატი), პანაი კურჩიდი, კაკო აზნაზავა, კოტე გუნი, ფადია საროჰინასი, ფანტი კვანტალიანი, მაყა სორავა და სხვები. I გუნდი კი თითქმის მთლიანად „უნიტას“ შამადგანლოზა იყო ჯარჯი ნიკოლაიშვილით გაქლიერაბული.

მერე და მერე ბორის პაიჭაძის თაობა წამოვიდა, ბავშვობაში ე.წ. „ჩხარტიშვილის მინდორზე“ რომ ისწავლეს ბურთაობა. ალბათ საინტერესო იქნება ამ თაობის წარმომადგენლის, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი კაკო იმნაქის მონაგონი გავიხსენოთ:

— ჩემს ბავშვობაში ფოთის პორტში მსოფლიოს ყველა ქვეყნის გემს ნახავდით. გაჰქონდათ და გაჰქონდათ ქართული მარგანეცი. მაშინ მარგანაცეს პირდაპირ გოდრებით ტვირთავდნენ. ამიტომ ბუნებრივია, გემები თვეობით რჩებოდნენ. ძირითადად ინგლისური გემები შემოდოდნენ, თუმცა იყვნენ ფრანგები, იტალიელები და ბერძნებიც. პორტთან ახლოს ინგლისელმა მეზღვაურებმა სტადიონი მოაწყვეს და ყოველდღე, როცა თავისუფალი დრო ჰქონდათ, ფეხბურთს თამაშობდნენ. ის სტადიონი მეც კარგად მახსოვს, ისეთი დრენაჟი ჰქონდა, რაც არ უნდა ეწვიო, გუბე მინც არ დარჩებოდა მოედანზე. ნელ-ნელა მათგან ჩვენც ვისწავლეთ ფეხბურთის თამაში. ბურთი მაშინ ძნელი საშოვნო იყო და მე და ჩემი სიყრმის მეგობრები — გრიშა გაგუა, ვანიჩქა კინწურეიშვილი, საშა ელიავა, კაკო ყალიჩავა, ალბერტ კომახიანი, გვაჩი ჯორბენაძე, ბორია პაიჭაძე სასაკლაოში დავდიოდით, რათა ძროხის ან კამეჩის ბუშტი გვეშოვა. როგორც კი ბუშტს მოვიხელთებდით, ძველ ფეხბურთელთან, დუშა ვეკუასთან გავრბოდით, რომელიც სახელდახელოდ გვიმზადებდა ბურთებს. ხან ერთანეთში ვთამაშობდით, ხანაც ინგლისელებს ვეპაექრებოდით. მოედნის გარშემო იმდენი მაყურებელი იყრიდა თავს, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა. ფოთი მაშინ პატარა ქალაქი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაშებს მაყურებელი არასდროს აკლდა. პატარები ვიყავით და ერთი სული გვქონდა, იმ ბრწყინვალე გაზონზე როდის გავაგორებდით ბურთს. მერე უფროსებმა ფორმები შეგვიძინეს და მოგეცათ ლხენა, როდესაც მოვიზარდეთ, თითქმის ყველა ჩვენთაგანმა თბილისის „დინამოს“ მაისური ჩაიცვა.

აი, კიდევ ერთი ძველი ფეხბურთელის, **ივანე (ლოლო) ხოფერიას** ნაამბობი:

— „ომამდე ხშირად მუსიკის აკომპანიმენტით ვთამაშობდით. ძველი ფეხბურთელი კაკო ჟღენტი გვიკეთებდა რკინის ქაცვებს ბუცებზე, წვივსაფრებად კი ბამბუკის შუაში გახერხილ ღეროებს ვხმარობდით,



1908 წელი. ქ. ფოთის პირველი ოფიციალური გუნდი ფეხბურთში. მარცხნიდან პირველი დაბას გუნდის ერთ-ერთი სპეცმანეთაგანი, ყოფილი ფეხბურთელი, მარგანეცის კონცერსიის ნარმოდგანელი ფოთში, ინგლისელი ოსკარ ზოჰერტი.

თუმცა ტრავმები მაინც ძალზე იშვიათად იყო. მოედანი ახლა რომ ნისქვილკომბინატია პორტში, იმის ადგილზე იყო. მახსოვს, უფროსები ინგლისელებს ფეხბურთის ფორმაზე ეთამაშებოდნენ. ჩვენების მოგების შემთხვევაში, რაკილა ფორმის იქვე გადაცემა დიდ სირცხვილად და უხერხულად ითვლებოდა, ინგლისელები ზღვაში რომ გავიდოდნენ, ხოს ყუთში აწყობდნენ ფორმებს და ზღვაში აგდებდნენ, ჩვენები კი შეცურდებოდნენ და ნაპირზე გამოჰქონდათ. არ მახსოვს ინგლისელებს ოდესმე სიტყვა გაეტეხათ, მუდამ ჯენტლმენურად ასრულებდნენ ნაგებულის პირობას.

ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წავედი, ხარკოვთან ტყვედ ჩავავარდი. ომის დამთავრების შემდეგ ჰოლანდიაში და საფრანგეთში ვიყავი, სად აღარ მითამაშია ფეხბურთი. მერე ესტონეთში ვთამაშობდი, 1946 წელს კი ანდრო ჟორდანიამ ჩამომიყვანა. მერე რაკილა მენისკი დამემართა, 1948 წლიდან 23 წელი ვიყავი ფოთის კოლხეთის სათავეში. გუნდს რომ უჭირდა, საკუთარი სახლიდან ვეზიდებოდი საჭმელსასმელს. ერთხელ ერთ მსაჯს საკუთარი მაცივარიც კი გავატანე, მაგრამ ვისაც კი ახსოვს, დამეთანხმება, რომ ცხონებულ დედაჩემზე დიდი ფეხბურთის გულშემმატივარი ფოთში არ ყოფილა — ეს მოხუცი ქალი გასვლით თამაშებზეც კი დაგყვებოდა.

საფეხბურთო კლუბი "კოლხეთი-1913" ფოთი 1913 წელს ჩამოყალიბდა

1978 წლამდე გამოდიოდა კოლხიდას სახელით, 1979-1989 კოლხეთის, 1990-2006 წლებში კოლხეთი-1913-ის, 2006 წელს კოლხას, ხოლო 2007 წლიდან კოლხეთის სახელით...

ელენე

ქოხაძე



...

შიშველ მსრებზე თეთრი ტილოს ჰერანგი,
 ფიქრი გარეზნილ ვნებებს მიღიზიანებს
 არც საწყისი და არც ბოლო არ უჩანს,
 გაკვირდები შიშველ ფესზე ფესსადმელს,
 მარტოობის ორჯერ ათასთოთხმეტი.
 ბედისწერამ ჩანბარს გამოცდა,
 მივლინებად შენ წარსულში გასუვდი,
 ვერ გავიგე აწმეო დროში რა მოხდა,
 შენი მხერა ნერვიულად თავსუდი
 და ხარხარი ისტერიად ურიგო
 გადამადე, დღესაც კი მესმანება,
 ვერ გაიგებ ევ გრძობისთვის რა იყო.

...

სამშობლოს რომ ვერ დავიტკუთ
 ხელის გულსე, ვიცით;
 ეს მე ახლა კი არადა, ჩემზე მეტად იცით,
 ამას ბევად არ სჭირდება მტკიცება და ფიცი,
 მანამ გვარსე არსეინად დასტუნაობს კვიცი,
 გადამდები არის მხოლოდ მთქნარება და შიღისი,
 ალბათ ჩემზე უფრო მეტი ბავშვებმაც კი იცის.
 ზოგი წამლის მონა ხდება, ელოდება შწინცი.
 დაბოლილებს თეთრ ცხენსე ელანდება ზრინცი.
 ზოგი ვირზე ჯიუტია, არ დალატობს ზრინციმს,
 ზოგი კულტი სტალინია, ზოგიც კიდევ ფრიცი.
 ზოგსაც გამხნელება უნდა, სორსოცი და ხიცი,
 სამშობლოს რომ ვერ დავიტკუთ
 ხელის გულსე ვიცით.

სამარგალო

მიევარს სოფლის ძველი სახლი
 აივნებით ჰაერში,
 მტვრიანი და ძველი სკამი, ოთახებში თარეში.
 მიევარს ბუნრის ერთი კუთხე,
 შესაკიდებით გობებით,
 ცეცხლის მხერა მიევარს მაგრად
 ვეითელი-ძავს ფონების.
 სოფლის ღამის თქემი მიევარს
 ტრუმის წკაპ-წკუპ გუბეში,
 ძაღლის ერუ ხმა, მკლისებურად
 მიგუგუნებს ყურებში.
 ლოგინს კრანჭა-კრუჭი გააქვს,
 თითქოს მესაუბრება
 ალიონი ძილ-ღვიძილში
 დამირღვიეს ურმებმა.
 მოკლედ, მიევარს ჩემი ოდა,
 ვეელა,ვეელა ოდაზე
 მევასება აქ ტანსავი
 ვალინკებით მოდაზე.

ლუციფერი

ვეელა თქვენგანის მე სულში ვზივარ,
 ზოგს მეტნაკლებად, ზოგს სრულად ვნათლავ,
 არანაობის მოციქული ვარ
 და თქვენთან ერთად ჟამთასვლას ვმართავ.
 მე ასრულების ოქროს თევზი ვარ
 და თქვენ სურვილებს მივეცი ნება,
 მე სომ მშვიდობის შავი მტრედი ვარ,
 ქვენიერების მსურს განდიდება.
 მე მდიდარი ვარ და თქვენ გვიდულობთ,
 ძალაუფლებას მე ფულით ვმართავ,
 თქვენივე აზრებს ჩემში კითხულობთ
 და ნეტარების უფრსკულში ჩანხართ.
 მე ეს გვირგვინი თქვენვე დამადგით,
 ოცდაათ ვერცხლად გაუიდეთ მრწამსი
 და ოქროს ჯვრები ჩამოიკიდეთ.
 სარწმუნოებას დაადეთ ფასი.

სიალა მარჯანიშვილი

საით გადავუარე

აფხაზეთო ჩვენო
 სანატრელო მხარევე,
 შვილები ვართ შენი,
 საით გადავუარე?!
 ჩვენი ეზო-კარი
 სანატრელი გახდა,
 ძველი მეგობრობა
 ასე როგორ წახდა?!
 ეკლით დაფარული
 ჩვენი სიუვარული
 უცვლელია სევდა
 დიდი სინანული
 უსიცოცხლოდ დაჩნა
 მაგ ღამაში მხარე,
 რითაც ამაუბდი,
 რითაც გაიხარე!
 მწამს რომ დავბრუნდებით,
 ადრე, ანდა გვიან
 მომლოდინეთათვის.

ვეელა ქართველს

რამდენ წვეთსაც სეცად აწვიმს
 და რამდენსაც ფიფქებს დათოვს
 იმდენი წლის მშვიდობიან!
 საქართველოს გაუმარჯავს:
 გაუმარჯავს მის დიდებას,
 იმედიან სვალის სანთელს
 სულისა და გულის მდიდარ
 პატიოსან ვეელა ქართველს!

ვანო ცინცაძე

სიმღერა სამეგრელოზე


გულით მინდა, სულით მინდა
 ვთქვა ღამაში სადღევრძელო:
 გაუმარჯავს მეგრელებს და
 ზღაპრულ კუთხეს სამეგრელოს.
 ეს მხარე სომ ბაღნარია,
 საქართველოს მარგალიტი,
 ხალხი-ხალდი ქართველობის
 ნიმუში და მაგალითი.
 სადაც სირინოზის ხმაზე
 ისმის ნანა მშობლიური,
 მეგრული ხმა და სიმღერა
 გალობა მშობლიური.
 სულ ეფურჩქნის ნარინჯ კოლხეთს,
 მის მთას, ბარს და მწვანე მდელოს...
 გაუმარჯავს სამშობლოს განძს
 და თვალის ჩინს სამეგრელოს!

მეამაუება რომ ვარ ქართველი!

ვარ საქართველოს მხით გათანგული,
 მისი მიწის და ცის მოტრფიალე,
 ნერგი ვარ ერის ბაღში დარგული,
 ჩემს ირგვლივ ლექსთა ქარი შრიალებს
 გულში ვსეიმობ სიმწვანით ფერთა
 და ვგაზაფხულობ ფიქრით, თუ ლექსით,
 მე აღმოვცენდი სიცოცხლის ნერვად
 და სიუვარულში გავიდგი ფესვი.
 ცაში დაფრინავ ლექსით მზიანით,
 ლექსით ოცნების მწვერვალებს ველტვი,
 მე სიცოცხლესთან რა მაქვს ზიარი,
 სიუვარულის და სიკეთის მეტი.
 ჩვენს ჯიშს ჰქონოდეს ვეელგან მატება,
 შენოდეს მზის და მთვარის ზირბადე,
 მისარია და მეამაუება
 ქვეყნად ქართველად რომ დავიბადე!

ვანო ცინცაძე

მწერალი, ჰოეტი, პუბლიცისტი.
 ნოდარ დუმბაძის პრემიის ლაურეატი.



ს ი ს ი ს ს ი ე

გიორგი ნისაკულიძე

გალის რაიონში საცხენოსნო სპორტის დამაარსებლის, ამაგდარი კაცის პანაშვიდია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები მოკრძალებით ემშვიდობებიან მიცვალებულის ცხედარს. საერთო მნუხარებით თითქოს ჰაერიც დამძიმებულია. პაპანაქება სიცხეში ხალხი მრავალწლიანი ხეების ჩრდილს აფარებს თავს. სახეზე მნუხარების ელფერი დაჰკრავთ. მეგრული სიღინჯითა და თავმოყვარეობით განთქმული მამაკაცები ერთმანეთს თავშეკავებულად ესაუბრებიან.

სხვა სამგლოვიარო რიტუალებისგან განსხვავებით, სადაც ხშირ შემთხვევაში სევდა და იუმორი ერთმანეთშია არეული, აქ ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

ქალაქიდან ჩასულს, ცოტა არ იყოს გამიკვირდა ესოდენ დამნუხრებული საზოგადოების ყურება. პანაშვიდზე, ხალხი როცა ერთმანეთს ხვდება, ხშირად მიცვალებული ავინწყდებათ და სამგლოვიარო პროცესია საცირკო წარმოდგენას ემსგავსება.

ამ ყველაფერთან ერთად კიდევ ერთმა რამემ განმაცვიფრა: მხედარმა ეზოში სუდარაგადაფარებული ცხენი ხეზე სადავით მიაბა. ცხენი შფოთავდა, ფლოქვებს ძლიერად ურტყამდა მიწას, ჰაერში ტორტმანებდა, ორ ფეხზე მდგარი ისე შეჰყურებდა ზეცას, თითქოს მასთან შერწყმას ლამობსო. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამ ბრძოლის ფონზე არცერთხელ დაუჭიხვინია. ალბათ არ უნდოდა სამგლოვიარო პროცესიის რიტუალის დარღვევა. მხედარს თავზე ყაბალახი ემოსა, აღნაგობას შავი ჩოხა-ახალუხი უმშვენებდა. იგი მაციხვითიას უფრო ჰგავდა, ვიდრე 21-ე საუკუნეში ცხოვრებისაგან გამონვრთნილ, ნამუსისგან დაცლილ და გაცვეთილ საზოგადოების წევრს, თუკი ჩვენი ქვეყნის ხალხს საზოგადოება შეიძლება ეწოდოს.

ვიდექი და მდუმარედ შევცქეროდი მათ, ცხენი და მხედარი ერთ მნუხარებას მოეცვა, ერთმანეთს

უსიტყვოდ თანაუგრძნობდნენ, ხან ერთი იყო ზეცისკენ არწივივით შემართული და ხან მეორე. მაგრამ მინიერი კანონის თანახმად, ფიზიკური აღმაფრენა არცერთს შეეძლო.

მეგრელი ქალების გამაყრუებელი კვილი სასტიკად მალიზიანებდა. ვავა, ვავა... მოსთქვამდნენ. მათ ფონზე სიდარბაისლითა და კლდემაოსილებით მდუმარედ მჯდომი, გარდაცვლილის ქალიშვილი, ანტიგონესავით, თითქოს შავ მარმარილოში ჩამოსხესო, უსიტყვოდ, მდუმარედ დასტიროდა მშობელ მამას. ერთი-ორჯერ ძლივს ამოიკვნესა: ნახვამდის სიცოცხლე, ნახვამდის სიცოცხლე... არავინ იცოდა ამ სიტყვების არსი, თუმცა ყველას ეგონა ქალბატონი რაისა მამის სიცოცხლესთან გამომშვიდობებას დასტიროდა. ხოლო გასვენების შემდეგს ულისმოსახსენიებელს უფრასთან მჯდომმა ჭირისუფლებისაგან შევიტყვე, რომ სიკვდილის წინ ღონემიხდილი და დავრდომილი ბატონი კოტე ხშირად იმეორებდა, ნახვამდის სიცოცხლე, ნახვამდის სიცოცხლე... ყველას ეგონა, რომ იგი ამ სიტყვებით სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ქალიშვილს ესმოდა მამის. დიახაც, მხოლოდ მან იცოდა, რომ სიცოცხლეს თავის უსაყვარლეს არაბულ ბედაურს ეძახდა. სუფრასთან, როდესაც ქალიშვილმა მამის შესანდობარი შესვა, მან კვლავაც სევდიანი ხმით წარმოსთქვა: ნახვამდის სიცოცხლეო.

გარეთ გამოსულმა სუდარაგადაფარებულ ცხენს შევხედე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მას ძირს დახრილი დიდრონი თვალებიდან მარგალიტისებრი ცრემლები ლაპალუპით სცვიოდა. ცრემლით დანამული ბალახი ისე იყო მიწამდე თავდახრილი, გეგონებოდათ ბედაურს უთანაგრძნობსო. ჰაერში საიდანღაც შევარდენი გამოჩნდა. ეზოს რამდენჯერმე შემოუფრინა და მსხლის ხის კენწეროზე შემოჯდა. აქეთ-იქეთ მედიდურად იყურებოდა. ქათმებმა გნიახი ატყხეს. ესაო და დრო იხელთა ჩვენს მოსატაცებლად

მოდისო. ის კი უჩუმრად იჯდა ხის კენწეროზე და მომტირალი ბედაურის გარდა ვერავის ამჩნევდა. ერთი დასჭყვივლა. მის შეძახილზე შევარდნების გუნდმა ზეცა გააპო და ბედაურის ცრემლებით დასველებულ ბალახს მოეფინენ. შემდეგ, თითქოს სამძიმარს ეუბნებიანო, ბედაურს სათითაოდ შემოუფრინეს და ზეცაში გაუჩინარდნენ. დაკრძალვის შემდეგ მხედარი, რომელიც, ზუგდიდის რაიონიდან სამი სოფლის მოშორებით ცხოვრობდა, ცხენზე არ შეჯდა და აღვირით ხელში ღამის 11 საათამდე ფეხით მიმავალი მდუმარედ მიუყვებოდა სახ-

ლისკენ გზას. ღამის წყვდიადი ჭოტის და ბუს კვილმა დაარღვია, თითქოს არ მოსწონდათ მისი და ბედაურის ასეთი თანაგრძნობა საყვარელი მასწავლებლის მიმართ. მიდიოდნენ მდუმარედ და ამ მდუმარებას ცხენის და მხედრის აჩქარებული გულის ფეთქვა არღვევდა.

ის ღამე მხედარმა და მისმა ბედაურმა ცხენის თავლაში გაატარეს. გათენებისას მთის წვერზე გამოჩენილმა მზემ ორივეს ძვლები გაუთბო, განცდილის გამო მოეაღერსა და მადლობა შესწირათ ერთგულებისათვის.

გაბრიელ ბერის სწავლებანი

● ღმერთი დაუსაბამო სიკეთე, დაუსაბამო სიმართლე და სიყვარულია. ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, მას ღმერთი უყვარს, და ღმერთიც, ვით საკუთარ შვილს, ისე შეიყვარებს.

● "ზოგიტყვისსიყვარულიმაქვსო. აბავინმეტყვის რა არის სიყვარული, ვინ ჩასწვდება სიყვარულს?" – დასვამდა შეკითხვას გაბრიელ ბერი და თვითონვე პავლე მოციქულის სიტყვებით განმარტავდა: "სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მადლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების" (1 კორ. 13:4). "ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია ადამიანის ბედნიერება. სიყვარული მთავარია, მაგრამ ამაზე უფრო მთავარია, როგორ ვისწავლოთ ჩვენ ეს სიყვარული. ნურავის ეგონება, სიყვარული მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭია. სიყვარული ისწავლება და უნდა ვისწავლოთ. თუ თავი არ გასწირე ღვთისა და მოყვასისთვის, ისე არაფერი გამოვა".


● სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს. ღმერთს უყვარს საქმე. კეთილი საქმე არის სიყვარული.

● მოყვასის სიყვარული არის, როცა თქვენი მოყვასი სწეულია და შველა სჭირდება, ნამალი კი, შორი გზიდანაა მოსატანი. შეიძლება დაგიღამდეს, ტყეც შეგხვდეს და მგელმაც შეგჭამოს. აი თუ ნახვალ ასეთ დროს მოყვასის საშველად, პირდაპირ მიხვალ უფალთან.

● ყველაფერი რომ გქონდეს და სიყვარული არ გაგაჩნდეს, ჩათვალე, რომ არაფერი გაგაჩნია.

● ყველა წესსა და კანონზე უპირატესი სიყვარულია.

● შიომღვიმელიადამიანთადიდი სიყვარულისთვის ჩავიდა მღვიმეში.



● გიყვარდეთ ერთმანეთი. საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ვინც შეინარჩუნებს – ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ვერ დაიდგამს ტახტს.

● სიმდაბლე გამძვინვარებულ ლომსაც კი ქედს მოახრევიებს.

● ერთი კაციც რომ გძულდეს, საძაგელი ხარ ღვთის წინაშე.

● შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.

● სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება. ეგოისტი არაფერს არ გასცემს. ყველაფერი თავისთვის უნდა. მთელი ქვეყნის სიმდიდრეც რომ მოიხვჭოს, მაინც არ დაკმაყოფილდება.

● ბოროტი კაცი როგორ უნდა შევიყვაროთ? ჰკითხეს გაბრიელ ბერს. – ბოროტება, ცოდვა შეიძულებთ, თვით ადამიანი კი გებრალეობდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმა უწყის, იქნებ ის ვინც ჩვენ გვძაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვით და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზთა მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი შემთხვევა.

● შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შევიყვარო?! მაგრამ არ უნდა გძულდეს, უნდა გენყალებოდეს და აქედან მოდის სიყვარული.

„ნინო ღვთაშვილის გამომცემლობა“
 ყახლოეს მომავალში ვეგმავს წიგნის გამოცემას
 „სამეგრელოს ღიწნსშესანიშნაობები“,
 წინ გამოც გამომცემლობამ რაინყო აღნიშული
 მასალების შეგროვება, წიგნის მცირე ნაწილსაც ყოველ
 ნომერში შემოგთავაზებთ.
 წიგნში შევა აწა მარცო გამოქყუყნებული, აწამერ დოემერ
 ყუნობი მასალები.



წყბრნიკის ავტორია რავით კიკოლაშვილი



ნოჯიხევი მდებარეობს სენაკის რაიონში. სოფელში, მდინარის პირას, ჭალაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა საინტერესო კომპლექსი: აბანო, ორი ეკლესია, ციხის გალავნის ნაშთები და პალატი. ერთი ეკლესია ოთხაფსიდიანია, ტეტრაკონქის ტიპისა და V-VI სს. განეკუთვნება. ეკლესია მცირე ზომისაა და ერთადერთია დასავლეთ საქართველოში მსგავსი ტიპის შენობათა შორის. მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა ორი პერიოდის — X-XIII და XVI-XVIII სს. ნაგებობანი. ციხე და პალატი გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება, ხოლო ტაძარი, რომელიც რვააფსიდიანია, Xსაუკუნით თარიღდება; ეს ერთადერთი რვააფსიდიანი ძეგლია საქართველოში. მდიდრულად ყოფილა მორთული ტაძრის სამივე კარი, ნანგრევებში უამრავი ორნამენტული ფრაგმენტებია. საინტერესოა ქვებზე აღმოჩენილი ასომთავრული დამწერლობის ნიმუშები.




ტყვირი მდებარეობს აბაშის რაიონში. სოფელთან, მინდორზე დგას მაცხოვრის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. იგი „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა. დასავლეთით და ჩრდილოეთით მიდგმული აქვს ეგვტერები. შეიმჩნევა ორი სამშენებლო ფენა, უფრო ადრეული და XV-XVI საუკუნეების. ფასადებზე მრავალი ორნამენტული ქვა და წარწერებია მოთავსებული. სამხრეთის კარის წარწერა გვამცნობს: „სახელითა ღმრთისათა აღეშენა. მაცხოვრისა მტყუერისა საყდრისა აღმაშენებელსა ქუველსა ჭილაძესა შეუნდევს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდევს ღმერთმან. ვინც შენდობა ბრძანოთ შეგინდვენს ღმერთმან“. დასავლეთის ტიმპანის წარწერა უფრო ვრცლად გვამცნობს ჭილაძეთა ვინაობას.




ნაჯახოვო

ნაჯახოვო მდებარეობს მარტვილის რაიონში. სოფელთან ახლოს, გზის პირას, გამოვლენილი იქნა ეკლესია, რომელიც ე.წ. გუმბათოვან დარბაზთა ტიპს ეკუთვნის; ამ ტიპის ძეგლები საქართველოში იშვიათია, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ერთადერთი. ეკლესიას კარი სამი მხრიდან ჰქონია, დასავლეთიდან ღია კარიბჭე იყო. ჩრდილოეთის მინაშენი დახურულია, შესაძლოა იგი აკლდამას წარმოადგენდა. ინტერიერი მოხატული ყოფილა, ნიშებში შემორჩენილია ჯვრის გამოსახულებანი. ნაჯახოვოს საინტერესო ეკლესია, სავარაუდოდ, VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.



აბედათი

აბედათი მდებარეობს მარტვილის რაიონში, მდ. აბაშინწყლის ხეობაში. სოფლის ჩრდილოეთით, მთაში, აღმართულია დიდი ციხის ნანგრევები, რომელიც VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში „ონოგურისის“ სახელით იხსენიება. ტერიტორიაზე გამოვლინდა უძველესი ფენები. კედლები 10-12 მ. სიმაღლისაა. ციხეს ორი გალავანი შემოუყვება. გარე გალავნის კედლები რამდენჯერმეა აღდგენილი. აღმოსავლეთით დგას ადრეფეოდალური ხანის დარბაზული ეკლესია, მას ორი მხრიდან სათავსები აქვს მიშენებული. კედლები მოხატული ყოფილა. აბედათის ციხეზე გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ციხეს გვიანფეოდალურ ხანამდე არ შეუწყვეტია არსებობა.



ჭაქვინჯი

ჭაქვინჯი მდებარეობს ზუგდიდის რაიონში. სოფლის ჩრდილოეთით, მაღალ მთაზე დგას ციხესიმაგრე, მას საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია და შედგება ციტადელისა და ქვედა გალავნისაგან. იგი ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ციხე ძალიან ძველია, ალბათ III-IV საუკუნეებისა, მაგრამ კედლებში შეინიშნება როგორც ადრეული, ისე განვითარებული და გვიანფეოდალური პერიოდის ფენებიც. XVI-XVII სს-ში ციხე დადიანების რეზიდენცია იყო. კედლებში ჩასმულია დიდი, მასიური კოშკები. ციტადელში დგას ე.წ. „კარის ეკლესია“, მის ქვეშ აკლდამაა მოწყობილი. ეზოს სამხრეთ მონაკვეთში მდებარეობს ორსართულიანი პალატი; ეკლესია და პალატი XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნებიან.



სეფიეთი

სეფიეთი მდებარეობს აბაშის რაიონში. სოფელში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას დგას მთავარანგელოზის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია ორსართულიანი ყოფილა და აგებული უნდა იყოს V-VI საუკუნეებში. გვიან ფეოდალურ ხანაში იგი გადაუკეთებიათ. ნაშენია ქვითა და აგურით. დასავლეთით მიდგმული აქვს ეგვტერი, რომელიც XV-XVI საუკუნეებში მოუხატავთ ტაძრის ინტერიერთან ერთად. რელიგიური სიუჟეტების გარდა არის ისტორიულ პირთა, ადგილობრივი ფეოდალების — აბრამ ჭილაძის და ზოსიმე კოპლატაძის პორტრეტები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ზემოთ, ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებაა.

ღვთისმშობლის ფთხის საკათედრო სამართლმ სამართლმ ფთხი

ქალაქ ფოთის ცენტრში ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი დგას, რომელიც ბევრჯერ ყოფილა გაუგებრობაში. 1895 წლის 17 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნება დართო, შექმნილიყო ფოთის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა ნიკო ნიკოლაძეს დაევალა, რომელსაც ქართული არქიტექტურული სტილის ტაძრის აგება განუზრახავს. სათანადო პროექტიც შექმნილა. თუმცა, როგორც ირკვევა იგი რუსულმა მმართველობამ დაინუნა. შემდეგ კი არქიტექტორმა ზელენკომ და მარფელდმა ახალი პროექტი შეიმუშავს, კონსტანტინეპოლში არსებული წმ. სოფიას ტაძრის მიხედვით. იგი წარმოადგენდა თითქმის მის ზუსტ ასლს, შემცირებული მასშტაბით. ტაძარი 2000 მლოცველზე იყო გათვალისწინებული.

1906 წლის 14 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ტაძრის საძირკველი საზეიმო ვითარებაში აკურთხა.

1907 წლის 22 მაისს, ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღუმართავთ. მისი მშენებლობა რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, საკათედრო ტაძარს სამი ტრაპეზი ჰქონია, კანკელის ხატების ავტორია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მხატვარი დუმიტრაშკო, რომელიც დასრულებულია 1908 წელს. კანკელის ჩრდილოეთის მხარის ხატები შესრულებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ, სამხრეთი – ქართულ-ბიზანტიურ, ხოლო საშუალო რუსულ-ბიზანტიურ სტილში. ამ ხატებს შორის ორი წმ. ნინოსი და წმ. მეფე დავით აღმაშენებლისა იყო. 1932 წელს ქალაქ ფოთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო. დროთა განმავლობაში, რამდენჯერმე მოხდა შენობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი იერსახე საკმაოდ შეილახა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ეკლესიასა და თეატრის დასს შორის დავა დიდ ხანს გრძელდებოდა. საბოლოოდ, კი ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებით, შენობა ეკლესიას გადასცეს.

2005 წლის ნოემბერში, ტაძრის გასაღები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გადაეცა.

მაგრამამაშინეს ტაძარი გაუსაძლის მდგომარეობაში იყო. ნირვა ტარდებოდა პატარა დარბაზში, რომელშიც დაახლოებით 50-მდე ადამიანის შესვლა იყო შესაძლებელი. საქართველოს მთავრობამ დაიწყო ეკლესიის რესტავრაცია და ფოთის მოსახლეობას პირობა მისცა, რომ ძალიან მოკლე დროში საკათედრო ტაძრის სრული რესტავრაცია მოხდებოდა, მაგრამ ამ ქალაქში, რატომღაც ყველაფერი ხდება ისე, როგორც არ უნდა მოხდეს. ყველა მშენებლობა იწყება დაპირებებით, მიზნებით, გეგმებით და როდესაც ზემდგომი პირი მოადუნებს ყურადღებას, ხალხსაც ნელ-ნელა ავიწყდება ის დაპირებები. მშენებლობა ნელდება და ბოლოს საერთოდ ჩერდება. ასე იყო ფოთის საკათედრო ტაძრის რესტავრაციის დროსაც. მრევლი და საეკლესიო პირები რამდენიმე წელი ელოდნენ სრულ რესტავრაციას, 2005 წელს ოფიციალურად დაიწყო ტაძრის რეკონსტრუქცია და მხოლოდ 2013 წლის 12 მაისს, კვირაცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე აკურთხა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

მან ბრძანა, რომ ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი საქართველოს განახლების და აღდგომის სიმბოლოა.



„ნიმო რეხვიაშვილის გამოცემლობა“



მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810

